Სპორტ 
# ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2 ᲛᲐᲘᲡᲘ 2001 №78 (1351) | ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ



# ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ

## ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲕᲔᲨᲐᲞᲘ: ᲰᲘᲪᲤᲔᲚᲓᲘ, ᲙᲐᲜᲘ, ᲔᲚᲑᲔᲠᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

### ᲠᲔᲐᲚᲘ 0:1 ᲑᲐᲘᲔᲠᲜᲘ

UEFA CHAMPIONS LEAGUE

გუშინწინ მადრიდში ჩასულმა მიუნხენის „ბაიერნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" ერთი გოლის გატანა ინატრა.

გუშინ „რეალი" — „ბაიერნის" მატჩის 55-ე წუთზე ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა ჰერ ოტმარს ნატვრა აუსრულა — ათი დღის წინ ნაოპერაციევი მარცხენა ფეხით ოცდახუთიოდე მეტრიდან ისე ლონივრად, მოულოდნელად და ზუსტად დაჰკრა, პირთამდე სავსე „ბერნაბეუ" დაზაფრა და დაადუმა.

მანამდეც მოხდენილად და გამართულად მოთამაშე მადრიდელებმა მატჩის გადასარჩენად თავი არ დაზოგეს, მაგრამ... მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა — „ბაიერნის" კარს ცივსისხლიანი ოლივერ კანი იცავდა.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS მადრიდიდან

ჯოვანი ელბერმა ყისმათიანი ცაცია დაიკოცნა, ფერნანდო იერომ კი სიმწრისგან ლამის „ბერნაბეუს" ბალახი ჭამა

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

### ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

| | |
|---|---|
| ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ | 1 |
| ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ | 2 |
| ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ | 2 |
| ᲛᲔᲠᲐᲜᲘ | 0 |



გუშინ „26 მაისზე". ლოკომოტივი — მერანი. მასპინძელთა მეორე გოლი დავით დათვაძემ პენალტით გაიტანა





თუ ჩვენს ფეხბურთში რაიმე სახეირო ხდება, ეს ერთია: ვაკეში „26 მაისის" შენება-მშვენება. გუშინ თბილისში მთელი დღე ცრიდა, თუმც მოედანი, ჩვენში სანიმუშოდ სწორი, არ ატალახებულა, ტრიბუნები კი, ჰოი, საოცრებავ, ინდივიდუალური სკამებით იფარება.

ნახევარფინალური მატჩების მიმოხილვა იხილეთ მესამე გვერდზე

# ფუხელ ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## რეალი 0:1 ბაიერნი

მადრიდი. «სანტიაგო ბერნაბეუ». 75 000 მაყურებელი

0:1 ელბერი (55)

კასილიასი, სალგადო (მუნიტისი 77), რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, გუტი (სავიო 54)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ლიზარაზუ, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი (პაულო სერჟიო 72), ელბერი (იანკერი 74)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: კანი, ეფენბერგი, მუნიტისი, იერო

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)


ჰასან სალიჰამიჯიჩმა რობერტო კარლოსი „გახედნა", „ბაიერნმა" კი „რეალი"


ლუიშ ფიგუს დევნა ძნელი კია, მაგრამ გუშინ „რეალს" ამით რა...


დამარცხებული ივან ელგერა


გარი მაკალისტერს გააქვს და გააქვს...

## ინგლისი

გადადებული მატჩები

ბრედფორდი 0:2 ლივერპული
0:1 ოუენი (47), 0:2 მაკალისტერი (67)

ნიუკასლი 1:1 საუთჰემპტონი
1:0 გალაჰერი (26), 1:1 პახარსი (61)

I დივიზიონი

გადადებული მატჩები

ჯილინგემი 0:3 უოტფორდი
უიმბლდონი 1:1 ჰადერსფილდი
ვულვერჰემპტონი 0:2 ბოლტონი

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

ოქსფორდი 1:1 პორტვეილი
სუონსი 6:0 ბრენტფორდი
კემბრიჯი 2:1 კოლჩესტერი

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

როჩდეილი 2:1 პლიმუთი
ბრაიტონი 1:0 ჩესტერფილდი
მენსფილდი 3:2 დარლინგტონი
საუთენდი 1:1 ჰალი
შრუსბერი 2:0 იორკი

## ავსტრია

XXXII ტური

აუსტრია 1:1 რიდი
ტიროლი 3:0 გრაცერი
ბრეგენცი 1:0 რაპიდი

## შვეიცარია

AB ჯგუფი

გადადებული მატჩები

ვინტერტური 2:4 ცილი
იანგ ბოიზი 2:0 ლუცერნი
ქსამაქსი 2:0 ბელინცონა

B ჯგუფი

გადადებული მატჩები

ტუნი 2:2 ლოკარნო
კრინსი 0:0 დელემონი

## ჩეხეთი

თასის 1/2 ფინალი

სლავია 1:3 ჟიჟკოვი

## შვედეთი

IV ტური

ჰამარბი 1:1 გიოტებორგი
მალმიო 0:0 ნორჩეპინგი

# ფერი ფერსაო. საქართველო ლუქსემბურგსაო

**საქართველოს** ნაკრებმა ერთი, შეიძლება ითქვას, შესაფერისი ამხანაგური მეტოქე გამონახა — 15 აგვისტოს ქართველები სტუმრად ლუქსემბურგის ნაკრებთან ითამაშებენ. ეს იქნება ბოლო რეპეტიცია თბილისში, 1 სექტემბერს უნგრელებთან გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე.

როგორც გვითხრეს, საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგში მცირე შეკრებასაც მოაწყობს. ჩვენებურები ევროპის შუაგულს 13 აგვისტოს ესტუმრებიან, ამხანაგურ მატჩამდე დღეში ორჯერ ივარჯიშებენ, მერე ითამაშებენ, 16-შიც დილა-სალამოს ივარჯიშებენ და დაიშლებიან. დაახლოებით ათ დღეში კი ნაკრები ისევ შეიკრიბება, ამჯერად თბილისში, უნგრელებთან სათამაშოდ. თუმცა ვინ იცის, 1 სექტემბრამდე ქართველებს იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის თეორიული შანსიც აღარ ჰქონდეთ. იქამდე ხომ, 2 ივნისს საქართველო — იტალიაა, 4-ში კი — უნგრეთი — საქართველო. სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და საქართველოს ნაკრები ბუდაპეშტში ჩარტერული რეისით, იტალიასთან მატჩის მეორე დღესვე გაფრინდება.

და ერთი სანაკრებო ამბავიც. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინწინ ფიფას აცნობა, რომ იტალიასთან მატჩი თბილისში, „ეროვნულ" სტადიონზე ჩატარდება. თუმც კი ფედერაციამ საბოლოო სიტყვის უფლება 10 მაისისთვის დაიტოვა, მშენებარე „26 მაისის" სტადიონს შევხედავთ და თუ დავრწმუნდებით, რომ 2 ივნისამდე ყველაფერი მოესწრება, იტალიელებს სწორედ ახალ სარბიელზე ვუმასპინძლებთო, შეუთვალა ფედერაციამ ფიფას.

**კობა ინასარიძე**

# ქეცბაია მგლების ხროვაში

## მაისურა და საწოვარა: თემურმა და რაზმმა ერთმანეთს ესროლეს

**ერთობ** უსიამოვნო სიტუაციაში მოხვდა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „ვულვერჰემპტონის" თავდამსხმელი თემურ ქეცბაია.

შაბათს ქეცბაიას „ვულვზმა" სტუმრად ლონდონში „კრისტალ პალასს" სძლია — 2:0. ქართველი ძირითად შემადგენლობაში დააყენა დევიდ ჯოუნსმა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოს სკოტ ემბლენით შეცვალა. მწვრთნელის გადაწყვეტილებამ ერთობ განარისხა ქეცბაია. მოედნიდან გასვლისას მან დემონსტრაციულად გაიხადა მაისურა, სათადარიგოთა სკამისკენ მოისროლა და გასახდელისკენ გაემართა. მოგვიანებით თემურმა BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში ეს თქვა: „ვულვერჰემპტონში" გადასვლა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომა იყო. ჩემს მოთმინებასაც აქვს ზღვარი. ხელმძღვანელების ამგვარი უნდობლობით გაოგნებული ვარ. ეს დამოკიდებულება უკვე ოთხი თვეა, გრძელდება".

ცხელ გულზე „ვულვზის" მენეჯერმა დევიდ ჯოუნსმა ეს განაცხადა. „დროა, ქეცბაია გამოფხიზლდეს და პირიდან საწოვარა გამოიღოს, პატარა ხომ აღარ არის".

შარშან ზაფხულში 900 ათას გირვანქად „ნიუკასლიდან" „ვულვზში" გადაბარგებული ქართველი კი, თავის მხრივ, ამბობს: „მე ქუჩაში ნაპოვნი როდი ვარ, „ნიუკასლთან" ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებდა და მხოლოდ იმისთვის წამოველი, რომ „ვულვზს" დავხმარებოდი. ბოლო ორ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი მოედანზე, მაგრამ ამაზე ყველა თვალს ხუჭავს".

ქეცბაია რომ ბოლო დროს კარგ სათამაშო ფორმაშია, ამას თავად ჯოუნსიც არ მალავს. „თემური ნაყოფიერად ირჯებოდა „კრისტალ პალასთან" მატჩში, შეტევებში გუნდის ლიდერი იყო და გარკვეული სარგებლობაც მოჰქონდა, მაგრამ მისი შეცვლა კეიტ ენდრიუსის გაძევებამ გადამაწყვეტინა. ქეცბაიამ უნდა შეიგნოს, რომ უმთავრესი გუნდის ინტერესებია და სწორედ ამისთვის განვახორციელე ტაქტიკური ცვლილება. როგორც ჩანს, იგი ამას ვერ ხვდება და ერთობ სულელურ სიტუაციაშია, ასე ცხოვრება კი გაუჭირდება".

ჯოუნსს „ვულვზის" ქომაგებისთვის იმის შეხსენებაც არ დავიწყებია, რომ ქართველმა ამგვარი საქციელით გუნდის მაისურა და ინტერესები შეურაცხყო.

— სისულელეა ამის თქმა. მაისურის გადაგდებას ხელზე ნუ დაიხვევენ. პირიქით, გუნდის ბედი რომ არ მაღელვებდეს, საერთოდ არ მოვიმოქმედებდი ამას და მშვიდად შევიდოდი გასახდელშიო, თავის პოზიციებს ამყარებს ქეცბაია.

ბოლო სიტყვა გუშინ ისევ ჯოუნსმა თქვა და ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამას. — ქეცბაიას პირისპირ გავესაუბრები, ურთიერთობებს გავარკვევთ და მჯერა, ყველაფერი გუნდის ინტერესების გათვალისწინებით დამთავრდებაო, იმავე BBC-ის განუცხადა „ვულვზის" თავკაცმა.

**ბაათა ქვანტალიანი**


თემურ ქეცბაიამ „ვულვზის" მაისურა იუარა

# საქართველოს თასი

## ნახევარფინალი

პირველი მატჩები

# მოხვალთ ავჭალაში

თბილისი
1 მაისი
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 35 000)

**ლოკომოტივი 2:0 მერანი**

1:0 კაიდარაშვილი (11), 2:0 დათვაძე (85პ)

**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ონიანი, ცხადაძე, შელია, სალუქვაძე, ბაქრაძე, ბალაშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე, გოგიჩაიშვილი (გილაური 87), კაიდარაშვილი
სათადარიგონი: ლომაია, გ. შენგელია, ზ. ლაცაბიძე, გოგნაძე, ბარამიძე, მანჯგალაძე

**მერანი:** კოროშინაძე, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითაძე, ცქიფურიშვილი, მუხინი, ჩხაიძე (კოშკაძე 72), დევიძე, ზ. კვეკვესკირი (ბაჯელიძე 53), დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი (ხუციშვილი 77)
სათადარიგონი: ნაჭყებია, ხუჯაძე, ბოლქვაძე, ჩ. ილურიძე

**გაფრთხილება:** გუჯაბიძე (34), გოგიჩაიშვილი (62), ბაჯელიძე (65), დავითაძე (76), მუხინი (82), დათვაძე (82), კოშკაძე (84)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

**მამუკა კვანტალიანი**

**რკინიგზელთა** და ავჭალელთა დაპირისპირება სიკეთით არ დამთავრდება. ამის თქმის საფუძველს ის დაძაბული ვითარება გვაძლევს, რომელიც „ლოკომოტივსა“ და „მერანს“ შორის ჩამოვარდნილა.

გუშინ მეხუთედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ბრძოლაში გალიეს 90 წუთი, ნერვებიც არაერთხელ შეუთამაშდათ მეტოქეებს, მაგრამ ზოგმა თავის ხელში აყვანა მოახერხა, ზოგიც სხვების დასამშვიდებელი შეიქნა.

საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ ორბურთიანი უპირატესობა აქვს „ლოკომოტივს“, მაგრამ ძალიან მწვავედ გაიჟღერა სტუმართა მუქარამაც — 15 მაისს, „სინათლეზე“ მოგელითო.

გულდაწყვეტილი და ემოციებს აყოლილი ჩანდა „მერანი“. ის, ერთი შეხედვით უბრალო სიტყვები, რომელშიც დიდი რისხვა იმალება, უფრო მსაჯთა გასაგონად იყო ნათქვამი. ამას ყველა მიხვდა, მაგრამ ავჭალელებს არაფერში არგებთ ემოციებს აყოლა. წინ კიდევ არაერთი სეზონია. 15 მაისით არ დაწყებულა „მერანის“ ისტორია და არც თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრით უნდა დასრულდეს. ახლა მომხდარის ცივი გონებით განსჯა უფრო სასარგებლო იქნება საერთო საქმისთვის.

კი, მაგრამ, რამ გაანაწყენა ასე სტუმარი? მეტოქეზე მეტად მსაჯობამ. „ლოკომოტივმა“ გაცილებით უკეთ ითამაშა, საგოლე მომენტიც ბევრი შექმნა, მაგრამ რომ არა თამაშის ბოლოს კრიჭაშვილის მიერ მოგონილი თერთმეტმეტრიანი, მატჩიც მასპინძელთა მინიმალური უპირატესობით დამთავრდებოდა.

მოგონილიო, ვამბობ, ეს მხოლოდ ჩემი პირადი, სუბიექტური აზრია, მაგრამ ტრიბუნიდან მომეჩვენა, რომ რკინიგზელი დათვაძე სტუმართა საჯარიმოში უფრო თავისი ინიციატივით წაიქცა.

თუ ის სადაო მომენტი მსაჯმა პენალტად აღიქვა, მაშინ „მერანიც“ იმსახურებდა თერთმეტმეტრიანს. ეს პირველ ტაიმში, როცა კარის წინ სახიფათოდ მდგარ ჩხაიძეს შელიამ ვარდნაში ჯერ ფეხი მოარტყა და ბურთი მერელა მოიგერია.

მსაჯს იმასაც საყვედურობდნენ, ამდენი ყვითელი ბარათი რად ჩამოგვირიგე, „მერანი“ სანახევროდ დაშალეო. კრიჭაშვილს იმაში ვერავინ შეედავება, ყვითლები რად ამოიღეო, მაგრამ ცამდე მართალი იქნებოდა, კიდევ ორი-სამი ლოკომოტიველი რომ გაეფრთხილებინა.

მსაჯებს თავისი განმსჯელი ჰყავთ და ვერდიქტსაც ისინი გამოუტანენ. ჩვენ კი ის მოგახსენეთ, რაც ტრიბუნიდან დავინახეთ და სადაო ეპიზოდები როგორც აღვიქვით.

ახლა დროა, ცოტა რამ თამაშზე მოგახსენოთ. „ლოკომოტივმა“ უფრო აქტიურად დაიწყო. რკინიგზელები გაცილებით მეტს მოძრაობდნენ და თავისუფალ სივრცეებსაც პოულობდნენ სტუმართა ნახევარზე.

გუშინ „მერანი“ შუახაზელებმა დაალალატეს. ვერ იმუშავა ავჭალელთა ნახევარდაცვამ. პირველი გაშვებული გოლიც უპირველესად საყრდენი ნახევარმცველებისა და მეკარის შეცდომის შემდეგ გავიდა.

მე-11 წუთზე სტუმართა დაცვის მოგერიებული ბურთი საჯარიმოსა და ცენტრალურ რკალს შუა შელიამ მოიგდო, გაიჩერა, წინ საგრძნობლად წაიწია, გაისწორა და ძლიერად დაარტყა. მისთვის ხელის შემშლელი არავინ გამოჩნდა. კოროშინაძემ ყველაფერი სწორად გააკეთა. გამოზომილ ნახტომში შესწვდა ბურთს, მაგრამ იმის ნაცვლად კუთხურზე მოეგერიებინა, თავისივე ბაქანში შეაგდო. ბურთთან პირველი კაიდარაშვილი გაჩნდა და ანგარიში გახსნა.

მასპინძლებს ამის მერეც რამდენჯერმე მართებდათ გატანა, თუმც სამიზნეს ვერ ასწორებდნენ. მერე და მერე „მერანმაც“ გაიწია „ლოკომოტივის“ კარისკენ. სამჯერ გატანაც მართებდათ სტუმრებს. ერთხელ ჩხაიძეს, რომელიც შელიამ წააქცია ბურთიანად და რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. მეორედ მინაშვილმა ვერ დაარტყა საკადრისად, მესამედ კი ასლანაძემ და შელიამ ვერ



სამ მერანელში მოქცეულმა დავით დათვაძემ მაინც დაარტყა

გაუგეს ერთმანეთს და მცველის მხრებზე დაცემული ბურთი მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს.

მეორე ტაიმის ბოლო წუთებამდე მართლა კარგი სანახავი ფეხბურთი გაჩაღდა, ტემპმა და ბრძოლამ იმატა და საგოლე მომენტებიც უმოწყალოდ მიჰქონდა ქარს.

პირველმა „მერანმა“ უჩხვლიტა მეტოქეს. მუხინმა გაისროლა შორიდან, მაგრამ ასლანაძემ ბურთი თავგანწირული ნახტომით მოიგერია კუთხურზე. მერე ბაჯელიძემ მცველს მოარტყა ხელსაყრელი პოზიციიდან.

„ლოკომოტიველთა“ გაცუდებული მომენტების აღწერას ხომ ორი თაბახი არ ეყოფა. საგოლე პოზიციებიდან კარის ჩარჩოში ვერ ახვედრებდნენ ბურთს გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი, დათვაძე, ანჩაბაძე...

ასე გაგრძელდა 85-ე წუთამდე. მერე იყო პენალტი და დაძაბულობის კულმინაციაც, რაზეც სულ თავიდან მოგახსენეთ.

ერთადერთი, რასაც კრიჭაშვილს ვერ დავუწუნებთ, გამბედაობაა. მსაჯმა ოთარ გაბელიას თანაშემწე დავით ჯიშკარიანი სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე აუშვა, თუმც დაშვებულ შეცდომას აბა, ამით რას გამოასწორებდა.

იქნებ ეს არცთუ მნიშვნელოვანია, შეიძლება ძალიანაც მნიშვნელოვანი გახლავთ, მაგრამ ფაქტი ერთია, მასპინძლებმა თამაში გოლის გაუშვებლად რომ მოიგეს, ამას კახა ცხადაძეს უნდა უმადლოდნენ. ეროვნული გუნდის ექსკაპიტანს, რაც ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა, მას აქეთ ასე ჟინით და უშიშრად არ უთამაშია. მასპინძელთა რიგებში ცხადაძე იყო საუკეთესო.

წინ კი 15 მაისია, კიდევ ერთი დაძაბული და ცხელი დღე ქართულ ფეხბურთში. ორ კვირაში, იმედია, ემოციები დაცხრება და ავჭალაშიც საკადრისი ფეხბურთი გაჩაღდება. „ლოკომოტივს“ საპასუხო მატჩის წინ საგრძნობი უპირატესობა გააჩნია, მაგრამ ფინალამდეც საკმაო მანძილია.

# ზმანება გოლები

## პირველად იყო სევასტი

მცხეთა
1 მაისი
18 საათი
არმაზი
800 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:2 ტორპედო**

0:1 თოდუა (13), 1:1 გოგობერიშვილი (38), 1:2 იონანიძე (76)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ქანჩელაძე, კობიაშვილი, საჯაია, მუჯირი (გ. გოჩაშვილი 78), დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, ყიფიანი (სულთანიშვილი 82), წუწუნავა (ადამია 67), მელქაძე
სათადარიგონი: ჭურაძე, ინწკირველი, დოლიძე, გოცირიძე

**ტორპედო:** ზოიძე, აბრამიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, მახვილაძე, დიდავა (ხვადაგიანი 28), არჩვაძე (ჩეტიანი 78), კვეტენაძე (ბობოხიძე 69), ჯინჭარაძე, აშვეთია, იონანიძე
სათადარიგონი: ტოგონიძე, ვაშაკიძე, იმედაძე, ჯანაშია

**გაფრთხილება:** აშვეთია (88)

**მსაჯები:** კ მქსხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 22 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 7 |
| 7 | თამაშგარე | 1 |

**დავით თავართქილაძე მცხეთიდან**

**ღმერთი** მაღალი ახსენა რევაზ ძოძუაშვილმა — უზენაესის წყალობა იყო, ასეთი გოლები რომ შევაგდეთო.

...აქ რომ ასე გვიმსაჯე, იქ რაღას გვიზამ? დაიჩივლა მატჩის არბიტრთან „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა და კახა მესხისგანაც მყისვე მიიღო პასუხი — ნახავთ, როგორც ვიმსაჯებო.

ღვთის ნების გარეშე საქმე აბა, როგორ იქნებოდა, მაგრამ მსაჯობის რა მოგახსენოთ. „ტორპედომ“ დამსახურებულად გაიმარჯვა, მეტოქეზე უფრო სოლიდური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, რაც მოსალოდნელი იყო. ვიტელები აგრესიულობით, სწრაფი თამაშით და ცალკეულ მოთამაშეების ოსტატობით თუ გავიდოდნენ ფონს, თორემ „ტორპედო“ სხვაგვარად არავის დააჩაგვრინებს თავს.

ბოლო დროს მართლაც გამორჩეული ლევან მელქაძისგან გუშინაც ბევრს ველოდით. კარგად ამოკეტეს ვიტელთა ფორვარდი ქუთაისელებმა, ღირებული არაფერი გააკეთებინეს. ვეტერინართა იტალიელმა დამრიგებელმა ჯანი კარნევალიმ კი გვითხრა, თხუთმეტი დღეა, მელქაძეს ერთი წლის წინათ ნაოპერაციევი ფეხი აწუხებს და არც საჯაიაა მთლად ჯანმრთელადო.

ჩვეულად ვერ გაისარჯა გიორგი ყიფიანიც, რომელსაც მეურვედ ზურაბ არჩვაძე მიუჩინეს. ერთიცაა, წვიმისგან ატალახებულ მოედანზე რბილი მანერით გამორჩეულ ყიფიანს არ წაუვიდა თამაში.

„ვიტ ჯორჯიამ“ თამამად დაიწყო მატჩი. ბურთს უფრო მეტ ხანს მასპინძლები ფლობდნენ, პირველი სახიფათო იერიშიც მათი იყო. გოგიბერიშვილმა შორიდან დაარტყა, რიკოშეტის შემდეგ წუწუნავას თავურით შეეძლო ეხეირა, მაგრამ ბურთი ხელებში მიუვიდა ზოიძეს.

„ტორპედო“ თანდათან ძალას იკრეფდა, მოახერხა და თავისი, ჩაკეტილი თამაში შესთავაზა მეტოქეს, თუმც ტემპს არ აგდებდა. ყოველი შეტევის წამოწყებისას ტორპედოელები ცდილობდნენ, იონანიძესთვის მიეწოდებინათ ბურთი, რომელიც აშვეთიას ოდნავ უკან იყო გამწესებული. ნაყოფიერი გამოდგა სტუმართა ეს სვლა, ვიტელებს ერთობ უჭირდათ ტორპედოელთა არცთუ ეშმაკური იერიშების მოგერიება. თანაც იონანიძის ამოკეტვას საყრდენი დავით დილმელაშვილი ლამობდა, რაც საშუალებას არ აძლევდა, შეტევაში დახმარებოდა თანაგუნდელებს.

პირველი გოლი ასე გავიდა — კუთხურიდან ჩაწოდებულს სილაგაძემ შეუცვალა მიმართულება, აშვეთიამაც თავურით ხარიხას გაარტყა, საჯარიმოდან გამოტანილ ბურთს კი მინდორზე დაუშვებლად სევასტი თოდუამ ოცდაათიოდე მეტრიდან ლონიერი ცაცია შეაგება, ოდნავ წინ გამოსული მერლანი ვერ შესწვდა ბურთს, რომელიც ჯერ ხარიხას მოხვდა და მიწიდან აიჭრა ბადეში.

„ტორპედომ“ მარწუხებს მოუჭირა, „ვიტ ჯორჯია“ ათწუთიან ნოკდაუნში აღმოჩნდა და მერელა გამოიჩინა ფხა. ყიფიანის კუთხურს საჯაიამ არაზუსტი თავური მოაყოლა, მერე დილმელაშვილმა გაისროლა შორიდან და ზოიძემ გაჭირვებით მოიგერია ბურთი. მასპინძლებმა შეძლეს, ოდნავ მოემატებინათ სისწრაფისთვის, რაც დაუფასდათ კიდეც — მარცხენა ფლანგზე ჯარიმა მოინადირეს, გოგიბერიშვილმა ძლიერი, დაბალი ბურთი ზოიძის კარის შორეულ კუთხეში ააფართხალა.



ორი ორიანი: ქუთაისელი ზურაბ იონანიძე და ვიტელი ედიკ საჯაია

მეორე ტაიმში შედარებით გახსნილი თამაში წავიდა. ვიტელებს ფლანგებზე არაფერი გამოსდიოდათ, მხოლოდ ცენტრიდან კი სტუმართა დაცვითი ეშელონების გარღვევა ერთობ ჭირდა. „ტორპედო“ აქტიურ თამაშს არ ერიდებოდა, მაგრამ წინ დიდი ძალებით გადასვლას ფრთხილობდა. კარგი ბრძოლა გაჩაღდა, მონდომებას ვერ დაუწუნებდით ფეხბურთელებს.

სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან, როგორც იქნა, მელქაძემ მოიხელთა ბურთი და კარშიც დაარტყა, ზოიძემ ვერ შეიმაგრა ხელებში, მაგრამ დამატებაზე ადამიას დაუგვიანდა. ტორპედოელებმა არჩვაძის რეიდით უპასუხეს, რომელსაც დამაგვირგვინებელ ფაზაში მიზანმა უმტყუნა.

გამარჯვების გოლი კი იონანიძემ თითქმის ზუსტად იმ ადგილიდან გაიტანა, საიდანაც გოგიბერიშვილმა, თანაც ასევე საჯარიმოთი. თუმც ტორპედოელმა ახლო კუთხეში, არც ისე მაღალი ბურთი დაურტყა მერლანს.

ვიტელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ არ გაუმართლათ. მათგან ყველაზე გამორჩეულმა გოგიბერიშვილმა ითამაშა ბრწყინვალედ, მარცხენა ფლანგზე მეტოქე ჩამოიცილა და ადამიას, რომ იტყვიან, ფეხზე დაასვა ბურთი, მაგრამ არა, გუშინდელი წვიმიანი დღე „ტორპედოსი“ იყო.

***რევაზ ძოძუაშვილი, „ტორპედოს“ ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი:***

— გუნდებმა კარგი ფიზიკური მომზადება და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. იღბალი ჩვენს მხარეს იყო, რაც იშვიათი სილამაზის გოლებში გამოიხატა. კმაყოფილი ვარ შედეგით და ჩემი ფეხბურთელების გარჯით.

— მსაჯებს უხეში შეცდომები არ დაუშვიათ. თუმც ერთი-ორჯერ კი შეცდა არბიტრი.

***ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:***

— ჩემი ფეხბურთელებიდან არავის გავკიცხავ, საერთო ჯამში მათი კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება მერლანს, თამაშს გუნდი იგებს და აგებს და არა რომელიმე მოთამაშე. გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკს ახლა აზრი არა აქვს. „ტორპედო“ ძლიერი გუნდია, კარგადაა დაკომპლექტებული და მწვრთნელთა ხელიც ეტყობა.

— მსაჯებზე ლაპარაკი არ მიყვარს, თუმც პირველ ტაიმში იყო ეპიზოდი, როცა ერთ-ერთმა ტორპედოელმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა...

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

**მეექვსე ტური**

სამგურალი 2:0 შუქურა
მეტალურგი 1:1 გურია
ცხინვალი 0:0 მილანი

**I–VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 32 |
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:3 | 31 |
| სამგურალი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 31 |
| მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 29 |
| ცხინვალი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 25 |
| შუქურა | 6 | 0 | 3 | 3 | 2:8 | 23 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 6 ტური
მიმოხილვა

# სავარდო და საჩემპიონო?
# იბერია მარტო სახელია

## I–VI ადგილები

| ვიტ ჯორჯია 3:1 კოლხეთი | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 20 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 8 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

| ტორპედო 1:0 დინამო | | |
|---|---|---|
| 24 | დაჯარიმდა | 13 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 0 |

| მერანი 1:0 ლოკომოტივი | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 11 |
| 1 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 2 | კარში დარტყმა | 4 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

**ᲓᲚᲔᲡ** ასეა — ქართული ფეხბურთის ყველა ტიტული (ვერცხლისა და ბრინჯაოს) გარდა, სავარდო და სამაისო ქუთაისისკენ მიედინება.

...შეძლებული პატრონი, საუკეთესოდ მოწყობილი ბაზა და სტადიონი, აწყობილი ინფრასტრუქტურა, ძლიერი ფეხბურთელები, ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი და ნაკრებისავე მწვრთნელები...

ყველაფერი ერთად აღებული „ტორპედოა“. საქართველოს ჩემპიონი, საჩემპიონო დავაში დაწინაურებული და კვლავაც პირველობის მოსურნე.

მაშ, „ტორპედო“ ჩემპიონია? მიუხედავად იმისა, რომ რიონისპირელთა წისქვილზე მრავალი ფაქტორი ასხამს წყალს, თავის დამშვიდება ჯერაცნაადრევია. წინ კიდევ ოთხი ტურია, ორი საშინაო და ორიც საგარეო მატჩი.

ხვალისა ხვალემ იკითხოს, ჩვენ კი მეორე ეტაპის მეექვსე ტურისა ვთქვათ, რომელმაც ქუთაისური კლუბი საჩემპიონო დავაში ოთხი ქულით დააწინაურა.

ერთი შეხედვით „დინამოს“ ცუდად არ უთამაშია, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, გაიტანა აშვეთიამ, მართალია, პენალტით, თუმც სამი ქულის მოსაპოვებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, იმ პენალტის ირგვლივ დავა-კამათი დღესაც გრძელდება. სტუმრები არ უარყოფენ, რომ წესების დარღვევა აშკარა იყო, თუმც ეს საჯარიმოს ფარგლებში არ მომხდარაო. სამსაჯო კომიტეტი, მასპინძლები და არაერთი რიგითი ქომაგი ამტკიცებს, რომ შილაკაძის მიერ დანიშნული თერთმეტმეტრიანი ასპროცენტიანი იყო.

ჩვენ რაღა მოგახსენოთ, „ტორპედოზე“ სარბიელელები არ ვყოფილვართ და რაც არ გვინახავს, იმის გარჩევას აღარ დავიწყებთ.

გატანა „დინამოსაც“ შეძლებია, „ტორპედოსაც“ ორიოდეჯერ, თუმც მატჩის ბედი აშვეთიას გამოყენებულმა თერთმეტმეტრიანმა გადაწყვიტა.

ჩემპიონი მშვიდადაა და შაბათს ვიცე-ჩემპიონს ელის. იმას, ვისთანაც გუშინ თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი მცხეთაში 2:1 მოიგო.

შეუმჩნევლად გაუფრინდათ ხელიდან რკინიგზელებს საჩემპიონო შანსი. ახლა იმ შანსის ბოლოსლა ეპოტინებიან და თუ ჩაბღუჯეს... ეეჰ, რა კარგია ზოგჯერ ოცნება.

„ლოკომოტივს“ ჩემპიონობა თუ სურდა, შაბათს ავჭალაში „მერანი“ უნდა წაექცია. არ წააქცევინა თავი სტუმარს მასპინძელმა, უბრძოლველად გოჯიც არ დაუთმო მეტოქეს.

რკინიგზელებს ჰქონდათ სამი-ოთხი რეალური მომენტი, მაგრამ მათდა გასაოცრად მასპინძელთა სათადარიგო მეკარე ანდრო კოროშინაძემ, რომელიც შაბათს ძირითადში შემთხვევით მოხვდა, ძალიან საიმედოდ ითამაშა.

შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი შეცვლაზე შესულმა ბაჯელიძემ სამი მცველი ხახამშრალი დატოვა და ასლანაძესაც შესაშური სიძლიერით საგოლედ დაურტყა.

„ლოკომოტივის“ თავკაცი გივი ნოდია გაშვებული გოლის შემდეგ სათადარიგოთა სკამიდან წამოდგა, თამაშის დამთავრებას არ დალოდებია, გასახდელს მიაშურა.

ნიშნავს თუ არა ყოველივე უსიტყვო კაპიტულაციას, ძნელი სათქმელია, მაგრამ დათმობს კი „ლოკომოტივი“ მთელი წლის ნალოლიავებ მიზანს?! წინ კიდევ ოთხი ტურია. ჩემპიონობა ისეთი რამაა, მისთვის ბრძოლა ბოლო ტურამდე ღირს. თუმცა...

წავედით ავჭალიდან მცხეთაში, სადაც „ვიტ ჯორჯიამ“ როგორც იქნა, მოახერხა და მისთვის უხერხული მეტოქე დაამარცხა.

ვერ გეტყვით, იცოდა თუ არა ჯანი კარნევალიმ შარშანდელი 10 სექტემბრის ამბავი. იმ დღეს ფოთში, „ფაზისზე“, თბილისურმა თსუ-მ „კოლხეთს“ 4:2 მოუგო. მაშინ, ზედიზედ სამი წაგებული მატჩის შემდეგ, მეთორმეტე ეროვნულის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა თსუ-მ ჩემპიონატში პირველი სამი ქულა მიითვალა. იმ გამარჯვების შემოქმედები უპირველესად აღამია და წუწუნავა გახლდნენ. ყოფილი სტუდენტები შაბათსაც ძირითადში, ამჯერად კარნევალის განკარგულებაში იყვნენ და „კოლხეთის“ დამარცხებაში არცთუ მცირე წვლილი შეიტანეს.

მასპინძლებს კიდევ ჰყავდათ ლევან მელქაძე, რომელსაც გოლები ბოლო ტურებში სულ წყვილად გააქვს და კობიაშვილი დაცვაში, რომელმაც ბურთიანი თუ უბურთო სტუმარი მოედანზე არ გაახარა.

„ჩვენ შინ ვთამაშობდით, თანაც გამარჯვება გვსურდა და მეტოქეს დიდი ძალებით ამიტომ შევუტიეთ. მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციებით კმაყოფილი დავრჩი, თუმც ეს არ არის იდეალური მზადყოფნა“ — თქვა პრესკონფერენციაზე ჯანი კარნევალიმ.

„ბოლო დროს ტრავმებმა შემოგვიტიეს. ძირითადის ოთხი ფეხბურთელი ვერ ვათამაშეთ. შალამბერიძემ, ქობულაძემ და გვასალიამ შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს, თანაც გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი მიდის, მათ შანსს ვაძლევთ და მომავლისთვის ვემზადებით“ — ჩაფიქრებული ჩანდა ფილია.

„ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“ და „მერანი“ — გუნდი ხუთია, ტიტული კი ოთხი. მალე გავიგებთ, ვის რა ერგება.

ახლა არასაპრიზო, გასაჭირში მყოფ ექვსეულზეც ვთქვათ. გორის „დილამ“ თავდაუზოგავად იომა ბათუმში. ბოლო ათწუთეულამდე მედგრად დაუდგა მეტოქეს, მაგრამ...

ეს არ იყო ავტოგოლი, თუმც სტუმართათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა. რა აზრი აქვს, მგელი მოგიღებს ბოლოს, თუ მგლისფერი ძაღლი.

„სიონმა“, პირველ ტაიმში ღირებული რომ არაფერი შეუქმნია, მეორეში სამი უპასუხო გოლი გაუტანა „გორდას“. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით იყოო, აღნიშნა ფედერაციის ინსპექტორმა. ჰოდა, მაგას რაღა სჯობს, გაუმარჯოს ფეარ-ფლეის!

„იბერიას საქმე კი წასულია. გაურკვეველი ქალაქის გუნდმა პარასკევს ოფიციალურად გაიფორმა პირველი ლიგის საგზური. აქამდე უმნიშვნელო თეორიული შანსი მაინც იყო. აწი დარჩენილ ოთხ ტურში „იბერიამ“ სულ სასწაულები რომ ჩაიდინოს, მაინც არ ეშველება.

ახლა საკითხავი ისღაა, ვინ იქნება მეორე ჩაქვეითებული, „დილა“, „გორდა“ თუ თსუ? არა, გავარდნის თეორიული საშიშროება „სიონს“ და „ბათუმსაც“ ემუქრებათ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ სამეულთან შედარებით გაცილებით ნაკლები.

დავითვალოთ მეექვსე ტურის მონაგარი. ხუთ მატჩში იმარჯვეს მასპინძლებმა. ერთ შეხვედრაში ჩამოწმინდა თსუ-მ ნამუსი სტუმრებს. არც ერთი ფრე არ დაფიქსირებულა და სულ 13 გოლი გავიდა, აქედან 10 მასპინძელმა, ხოლო 3 სტუმარმა გაიტანა.

**ᲒᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲒᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**



ვიტელი ლაშა ნოზაძე და კოლხი დავით კვირკველია. ბურთი განზე დარჩა, ფეხი ჰაერში



მერანელმა გიორგი დავითნიძემ ლოკომოტიველ ალეკო კაიდარაშვილს ბურთი ვარდნაში აართვა

### სიმბოლური ნაკრები

კახა წუწუნავა — ვიტ ჯორჯია
ლევან მელქაძე — ვიტ ჯორჯია
ალეკო კოზაძე — მერანი
ლევან ბაჯელიძე — მერანი
ზურაბ იონანიძე — ტორპედო
გიორგი ადამია — ვიტ ჯორჯია
ნუკრი მინდიაშვილი — სიონი
თენგიზ კოზიაშვილი — ვიტ ჯორჯია
ხვიჩა გაგნიძე — დილა
ოლეგ გველესიანი — ბათუმი
ანდრო კოროშინაძე — მერანი

გუნდი: მერანი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

## VII–XII ადგილები

| ბათუმი 1:0 დილა | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 14 |
| 5 | კუთხური | 0 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 3 | კარში დარტყმა | 0 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

| სიონი 3:0 გორდა | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 20 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

| იბერია 1:2 თსუ | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 11 |
| 4 | კუთხური | 8 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 4 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 37 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 |
| 2 ლოკომოტივი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 33 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 3 დინამო | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 0 | 31 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 29 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 5 კოლხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 22 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 6 მერანი | 5 | 1 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 21 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | -4 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:2 | 5 | 25 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 3 | 5 |
| 2 სიონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 3 | 21 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 3 თსუ | 6 | 3 | 0 | 3 | 7:10 | -3 | 19 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 3 |
| 4 გორდა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | -1 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 5 დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 3 | 16 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 6 იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | -13 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | -9 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 18 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 13 - ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 10 - რუსია | ლოკომოტივი |
| იონანიძე | ტორპედო |
| 9 - გადელია | დინამო |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| ყულეჯიშვილი | ბათუმი |
| ისიანი | სიონი |
| 8 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| 7 - გ. გ. მიქაძე | დინამო |
| აფხაზავა | ბათუმი |

# იაშკა აშკარად კარგია

## არველაძე შევიდა, ბურთი გავიდა

**დავიწყოთ** ისე, როგორც ბოლო დროს დაგვიმკვიდრდა — იტალიით. „მილანმა“ შინ „ვერონას“ 1:0 მოუგო და ცხრილში ერთი საფეხურით კიდევ აინაცვლა. ახლა „შავ-წითლები“ მეხუთე საფეხურზე დგანან, თუმცა მთავარ „სალიგო“ კონკურენტ „პარმას“ კვლავაც სამი ქულით ჩამორჩებიან. „პარმამ“ ასეთივე ანგარიშით სტუმრად „ვიჩენცას“ აჯობა.

მილანელთა მწვრთნელი, ჩეზარე მალდინი შედეგით, ცხადია, კმაყოფილი დარჩა: ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საგაისო ჩემპიონთა ლიგისკენ — ასე თქვა მალდინიმ და დაამატა, „პარმაზე“ არ უნდა ვიფიქროთ, ჩვენს საქმეებს მივხედოთო.

ეს ყველაფერი კარგი. ბოლო დროს „მილანის“ საქმეები მართლაც აღმა წავიდა, მაგრამ „ვერონასთან“ წინა ტურის გმირი, ქართველი კახა კალაძე დაიჩრდილა. იტალიური სააგენტოების ცნობით, კახამ ერთხელ შევჩენკოს, მეორედ კი გულის კარგი პასები მისცა, მაგრამ „რაი უნომ“ მხოლოდ 5,5 ქულა დაუწერა. ასეთი დაბალი შეფასება ქართველს იტალიაში გადაბარგების შემდეგ არ მიუღია. თუმცა, მკაცრად ნუ განვსჯით. შეფასება ხომ მაინც ზოგადი ციფრია. კახას შესაძლებლობა კი ყველამ კარგად ვიცით.

გერმანიაში „ფრაიბურგი“ „ბაიერნთან“ 0:1 დამარცხდა. ჩემპიონებს კერკეტ ფრაიბურგელებთან ერთობ გაუჭირდათ და შოლის ჯარიმით მოიპოვეს სამი ქულა. სტუმართაგან კვლავ გამოირჩა იაშვილი. მართალია, გათანაბრება ვერ მოახერხა, მაგრამ გუნდისთვის ერთობ სასარგებლოდ ილვწოდა. აი, არჩილ არველაძემ კი ბუნდესლიგაში თავისი მეექვსე გოლი გაიტანა. მისმა „კიოლნმა“ „კოტბუსს“ 4:0 მოუგო, აჩიკო სულ სამი წუთის შესული იყო მინდორზე, სტუმრებს მეოთხედ რომ დააწყებინა ცენტრიდან.

რუსეთში ჩვენებურთა საქმეები არც მიწისაა და არც ცისა. ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ თანაქალაქელ „ტორპედოსთან“ ქულები გაიყო და კვლავაც მეხუთე ადგილზეა. ხიზანეიშვილმა ამჯერადაც „სპარტაკის“ დუბლებში ითამაშა, ისევე როგორც ალანიელმა რუხაძემ. არ უთამაშია მეორე ვლადიკავკაზელ ფოფხაძესაც. „ალანიამ“ კი დროებითი მწვრთნელის, ალექსანდრ იანოვსკის ხელმძღვანელობით დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. შინ მახაჩყალის „ანჟისთან“ ბოლო წუთებამდე აგებდა, მაგრამ მოახერხა და მაინც გაიმარჯვა. ასე რომ, თავიდან თითქოს განწირული „ალანია“ ნელ-ნელა სცილდება სახიფათო ზონას.

რუსთა პირველ ლიგაში კი პირველი ქართული გოლი გავიდა. ყოფილი თბილისის დინამოელი თემურ გადელია პირველ ტურებში „კრისტალის“ ძირითადში არ გამოჩენილა. ბოლო ორ მატჩში კი შეცვლაზე შეიყვანეს. არველაძის არ იყოს, „მეტალურგთან“ შეხვედრაში თემური სულ სამი წუთის შესული გახლდათ მინდორზე, როცა თავისიანები დააწინაურა და ამით, პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. მანამდე ანგარიში 1:1 იყო.

წინა მიმოხილვაში ვწერდით, ისრაელში პლეი ოფი 5 მაისს დაიწყებაო, მაგრამ ჩვენი ებრაელი კოლეგების ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდა. ჩემპიონატი გასულ უქმეებზევე განახლდა. მოგეხსენებათ, კობა წიტაიშვილის „ირონი“ „ქვედა პლეი ოფში“ თამაშობს და ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. მისი მთავარი კონკურენტები „აშდოდი“ და თელ ავივის „ბნეი-იეჰუდა“ არიან. ბოლო — „ცაფრირიმი“ კი, უკვე ლეუმითის, ანუ ქვედა ლიგაშია. სწორედ „ცაფრირიმიდან“ წამოსული მწვრთნელი მივიდა „ირონიში“. იეშუა ფიგენბოიმი მეორე ტურია წიტაიშვილის დამრიგებელია და საქმეები არცთუ ურიგოდ მიდის. ჯერ „ბნეი-იეჰუდას“ მოუგეს, ახლა კი კონკურენტ „აშდოდთან“ სტუმრად არ წააგეს. ეგ არის, კობას კარგა ხანია აღარ გაუტანია და ბომბარდირთა დავაში ნელ-ნელა პოზიციას თმობს.

აზერბაიჯანში დიდი ამბები მოხდა კახაბერ ძებისაშვილის „ხაზარ უნივერსიტეტში“. ბოლოსწინა ტურში მათ „ნეფთჩისთან“ 2:7 წააგეს და ხელმძღვანელობამ ოთხი წამყვანი ფეხბურთელი დაითხოვა. მათ შორის სამირ ალეკპეროვიც, ვინც კარგა ხანს „ხაზარის“ მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ.

ეტყობა, მკაცრმა ზომებმა გაჭრა. გასულ უქმეებზე „ხაზარში“ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე გამოჩნდა და აკი შინ კილასონიების „თურანსაც“ მოუგეს.

**სოლომონ გულისაშვილი**



მეჰმეთ შოლი დაბლა, ალექსანდრე იაშვილი იერიშზე

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| **ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 0:1 | 90 | | 26 | 5 | 7 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 0:1 | 90 | | 27 | 8 | 7 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 0 | 7 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ბაიერნი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | კოტბუსი 4:0 | 12 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 24 | 6 | 9 |
| **მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | ს | ზაარბრიუკენი 2:2 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 8 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | დუისბურგი 1:0 | 0 | | 1 | 0 | 4 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| **პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | არსენალი 1:2 | 86 | შეცვალეს | 22 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ლიდსი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 6 |
| **პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ფულემი 0:2 | 0 | | 18 | 3 | 15 |
| | ვულვზი | ს | კრ. პალასი 2:0 | 45 | შეცვალეს | 19 | 3 | 12 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| **პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჰიბერნიანი 0:2 | 90 | | 32 | 2 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ჰიბერნიანი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 6 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| **სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ვერონა 1:0 | 90 | | 12 | 2 | 5 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| **პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | ლას პალმასი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 17 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ბრედა 1:0 | 90 | | 22 | 13 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | ტილბურგი 1:1 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ლუვიე 1:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 26 | 1 | 10 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | ს | ბევერენი 0:1 | 0 | | 3 | 1 | 16 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | სენტ გალენი 0:1 | 90 | | 29 | 9 | 6 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სენტ გალენი 0:1 | 90 | | 27 | 12 | 6 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ტორპედო 1:1 | 64 | შეცვალეს | 7 | 2 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | სატურნი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | შ | ანჟი 2:1 | 0 | | 5 | 0 | 13 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | შ | ანჟი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ცსკა 0:1 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| **პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | კუბანი 1:2 | 90 | | 4 | 0 | 6 |
| | კრისტალი | შ | მეტალურგი 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 6 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | კუბანი 1:2 | 90 | | 4 | 0 | 6 |
| | კრისტალი | შ | მეტალურგი 3:1 | 90 | | 5 | 0 | 6 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | კუბანი 1:2 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 6 |
| | კრისტალი | შ | მეტალურგი 3:1 | 30 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 2 | 1 | 6 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | შინიკი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| | ბალტიკა | ს | რუბინი 1:2 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | შ | გაზპრომი 1:0 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 3 |
| | სპარტაკი | ს | ლადა 1:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | კატოვიცე 1:1 | 58 | შეცვალეს | 12 | 1 | 8 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | აშდოდი 0:0 | 89 | შეცვალეს | 28 | 12 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | პანიონისი 0:4 | 90 | | 18 | 2 | 14 |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | ოფი 1:0 | 90 | | 7 | 1 | 10 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვალმიერა 2:1 | 90 | | 3 | 1 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვალმიერა 2:1 | 0 | | 2 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვალმიერა 2:1 | 55 | შეცვალეს | 4 | 1 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვალმიერა 2:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 1 | 1 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | ვალმიერა 2:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | დინაბურგი 2:3 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **აზერბაიჯანი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ვარლამ კილასონია | თურანი | შ | ქიაფაზი 3:0 | 90 | 1 გოლი | 12 | 5 | 5 |
| | თურანი | ს | ხაზარი 0:1 | 90 | | 13 | 5 | 5 |
| გია კილასონია | თურანი | შ | ქიაფაზი 3:0 | 90 | | 14 | 8 | 5 |
| | თურანი | ს | ხაზარი 0:1 | 90 | | 15 | 8 | 5 |
| კახაბერ ძებისაშვილი | ხაზარი | ს | ნეფთჩი 2:7 | 90 | | 16 | 6 | 8 |
| | ხაზარი | შ | თურანი 1:0 | 90 | | 17 | 6 | 8 |

*აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის მონაცემებში არ არის შეტანილი ერთი ტურის შედეგები*

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*




☎ (231) 7 17 58

**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# გაუმაძღარი სტუმარი ჩარლტონმა დაამშია




„იფსვიჩის“ დამუხრუჭება მატიას სვენსონის (№26) თავურით დაიწყო

## ინგლისი

XXXVI ტური

**ჩარლტონი 2:1 იფსვიჩი**

1:0 სვენსონი (12), 1:1 როიზერი (20), 2:1 რუფუსი (56)

ჩარლტონი: ილიჩი, კ. პაუელი, რუფუსი, ტოდი, ფიში, პარკერი (გ. სტიუარტი 38), ჯ. რობინსონი, იენსენი (კონჩესკი 87), კინსელა, სვენსონი (ლისბი 77), ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კურბიშლი

იფსვიჩი: რ. რაიტი, მაკგრილი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი, მაკინი, ჯ. რაიტი, მეჯილტონი, ჰოლანდი, მარკუს სტიუარტი (ბერჩილი 66), ა. არმსტრონგი, როიზერი

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

გაფრთხილება: მაკინი

20 043 მაყურებელი

„ იფსვიჩ თაუნი“ „ჩარლტონ ატლეტიკს“ ეწვია და 1:2 წააგო. იფსვიჩელთა ზედიზედ მეათე გასვლითი გამარჯვება, რომელიც უკვე ნაღდად უხსნიდა გზას ჩემპიონთა ლიგისკენ პირველი დივიზიონიდან ამ სეზონში გადასულ ჯორჯ ბარლის გუნდს, არ შედგა.

„იფსვიჩი“ დაამარცხა მასავით ამ სეზონში გადმოსულმა „ჩარლტონმა“, რომელიც საკუთარ მინდორზე საუცხოოდ თამაშობს. უკვე მე-12 წუთზე მატიას სვენსონმა თავურით გახსნა ანგარიში. თუმცა, ეს არ იყო თამაშის პირველი სახიფათო, თუ საგოლე მომენტი. აქამდე ორიოდ წუთით ადრე იფსვიჩელთა დამრტყმელმა მარტინ როიზერმა ჩვეულად ოსტატური შორეულით მარჯვენა ძელს ჰკრა ბურთი. ჰოლანდიელი საერთოდაც მთავარი ფიგურა იყო სტუმართა შორის — ერთი გარედან აჭრილი საჯარიმოც უნდა გაეტანა და ორი სხვა შორეულიც. თავისი გოლი როიზერმა მე-18 წუთზე გაიტანა — მან დაბალი კროსი გაუშვა კარისკენ, სადაც ჯგროდ ირეოდნენ სტუმარ-მასპინძელი ფეხბურთელები. ბურთი ყველას აცდა, ორჯერ დაეცა ძირს და მეკარისთვის მოულოდნელად კარში შევარდა.

„იფსვიჩს“ ბურთიც ეჭირა, თამაშის სადავეებიც და თავდაუზოგავადაც დარბოდა. „ჩარლტონი“ სირბილში არ ჩამოუვარდებოდა და უფრო მოქნილი ჩანდა. ამ მოქნილობამ ის შედეგი გამოიღო, რომ მასპინძელთა მცველმა რიჩარდ რუფუსმა, რომელიც ნაღდად იყო მატჩის გმირი საკუთარი კარის წინ ვაჟკაცობით, სტუმართა კართანაც დროულად გაჩნდა და გრემ სტიუარტის დარტყმულს მიმართულება შეუცვალა. ეს იყო გამარჯვების გოლი.

„ძალიან მოგვაწვენ. ბოლო ათ წუთს ძლივს გავძელით“, თქვა რუფუსმა.

წაგების მიუხედავად თავისი გუნდი აქო ჯორჯ ბარლიმ: „კარგად ვითამაშეთ, ბურთი მრგვალია. „ჩარლტონმა“ საუცხოოდ წარმართა თამაში. მესამე ადგილის ბედი დარჩენილ ორ თამაშში უნდა გადავწყვიტოთ“.

„იფსვიჩი“ მეოთხე ადგილზეა 36 თამაშიდან 62 ქულით და ბურთებით ჩამორჩება „ლიდსს“, რომელსაც თამაშით ნაკლები აქვს. 34 თამაშიდან 59 ქულით მეხუთე ადგილზე „ლივერპულია“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 35 | 24 | 8 | 3 | 77:25 | 80 |
| არსენალი | 35 | 19 | 9 | 7 | 59:34 | 66 |
| ლიდსი | 35 | 18 | 8 | 9 | 54:39 | 62 |
| იფსვიჩი | 36 | 19 | 5 | 12 | 54:40 | 62 |
| ლივერპული | 34 | 17 | 8 | 9 | 60:37 | 59 |
| ჩელსი | 35 | 15 | 9 | 11 | 62:41 | 54 |
| სანდერლენდი | 36 | 14 | 11 | 11 | 41:37 | 53 |
| ასტონ ვილა | 36 | 12 | 15 | 9 | 43:38 | 51 |
| ჩარლტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 48:50 | 51 |
| ნიუკასლი | 34 | 13 | 7 | 14 | 40:46 | 46 |
| ტოტენჰემი | 36 | 12 | 10 | 14 | 42:49 | 46 |
| საუთჰემპტონი | 34 | 12 | 9 | 13 | 34:41 | 45 |
| ლესტერი | 36 | 13 | 6 | 17 | 34:46 | 45 |
| ევერტონი | 36 | 11 | 8 | 17 | 42:55 | 41 |
| ვესტ ჰემი | 36 | 9 | 12 | 15 | 41:48 | 39 |
| მიდლსბრო | 36 | 8 | 14 | 14 | 41:42 | 38 |
| დერბი ქაუნთი | 36 | 9 | 11 | 16 | 35:58 | 38 |
| სიტი | 36 | 8 | 10 | 18 | 39:61 | 34 |
| ქოვენთრი | 36 | 8 | 9 | 19 | 34:60 | 33 |
| ბრედფორდი | 34 | 5 | 9 | 20 | 28:61 | 24 |

## ისრაელი

პლეი ოფი

34-ე ტური: ჰაპოელი (თელ ავივი) — მაკაბი (თელ ავივი) 1:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — ბეითარი 1:0; ბნეი იეჰუდა — მაკაბი (ნეთანია) 0:1; ცაფრირიმი — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 2:3; აშდოდი — ირონი 0:0; მაკაბი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 34 | 23 | 10 | 1 | 65:22 | 79 |
| ჰ. თელ ავივი | 34 | 19 | 11 | 4 | 52:26 | 68 |
| ჰ. ჰაიფა | 34 | 17 | 11 | 6 | 51:32 | 62 |
| ბეითარი | 34 | 18 | 8 | 8 | 45:28 | 61 |
| მ. თელ ავივი | 34 | 15 | 11 | 8 | 58:33 | 56 |
| ჰ. ჰაიფა | 34 | 12 | 8 | 14 | 52:56 | 44 |

*იერუსალიმის „ბეითარს“ დაკლებული აქვს 1 ქულა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ფეთახ თიკვა | 34 | 11 | 8 | 15 | 38:42 | 41 |
| მ. ნეთანია | 34 | 11 | 8 | 15 | 47:52 | 41 |
| ირონი | 34 | 9 | 7 | 18 | 33:56 | 34 |
| აშდოდი | 34 | 8 | 8 | 18 | 36:49 | 32 |
| ბნეი იეჰუდა | 34 | 6 | 9 | 19 | 34:59 | 27 |
| ცაფრირიმი | 34 | 4 | 3 | 27 | 24:80 | 15 |

*ჩემპიონატში 33 ტურით დასრულდა I ეტაპი, ზედა ექვსეული დარჩენილ 4 ტურში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ქვედა ექვსეული კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის. ჰოლონის „ცაფრირიმი“ უკვე გავარდა.*

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXXI ტური

**ფიურტი 1:0 დუისბურგი**

1:0 კიოიო (58)

ფიურტი: რაიხოლდი, შკარაბელა, რაიტერი (ბოი 70), სპორდონე, სურმანი, ვალტერი, აზუზი, ფელგენაუერი, ამანატიდისი (რუისი 70), კიოიო (ჰესენთელი 81), ტიური

მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი

10 320 მაყურებელი

## რუმინეთი

22-ე ტური: როკარი — არჯეში 1:0; ფორესტა — სტიაუა 1:1; ჩაჰლაული — პეტროლული 1:0; დინამო — ბაკეუ 2:0; გლორია — ოცელული 2:0; უნივერსიტატეა — რაპიდი 0:0; ასტრა — ნაციონალი 0:0; ბრაშოვი — გაც მეტანი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 22 | 12 | 7 | 3 | 36:22 | 43 |
| დინამო | 22 | 11 | 5 | 6 | 41:32 | 38 |
| არჯეში | 22 | 10 | 6 | 6 | 30:28 | 36 |
| რაპიდი | 22 | 9 | 8 | 5 | 27:19 | 35 |
| ბრაშოვი | 22 | 10 | 4 | 8 | 24:21 | 34 |
| პეტროლული | 22 | 10 | 3 | 9 | 27:23 | 33 |
| გლორია | 22 | 10 | 3 | 9 | 34:31 | 33 |
| უნივერსიტატეა | 22 | 8 | 7 | 7 | 22:25 | 31 |
| ოცელული | 22 | 8 | 6 | 8 | 27:26 | 30 |
| ასტრა | 22 | 8 | 5 | 9 | 27:23 | 29 |
| ჩაჰლაული | 22 | 7 | 8 | 7 | 28:31 | 29 |
| ფორესტა | 22 | 7 | 7 | 8 | 34:37 | 28 |
| როკარი | 22 | 8 | 4 | 10 | 31:37 | 28 |
| ნაციონალი | 22 | 7 | 4 | 11 | 26:33 | 25 |
| ბაკეუ | 22 | 5 | 5 | 12 | 25:37 | 20 |
| გაც მეტანი | 22 | 1 | 8 | 13 | 14:28 | 11 |

## ლიტვა

მე-6 ტური: ეკრანასი — ჟალგირისი 0:3; საკალასი — კაუნასი 0:2; ნევეჟისი — ინკარასი 1:1; დაინავა — გელეზინისი 0:2; ატლანტასი — ვეტრა 6:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 6 | 6 | 0 | 0 | 15:2 | 18 |
| ჟალგირისი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| ატლანტასი | 6 | 4 | 0 | 2 | 13:6 | 12 |
| ეკრანასი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:7 | 9 |
| საკალასი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | 9 |
| ნევეჟისი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ინკარასი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| გელეზინისი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:7 | 6 |
| ვეტრა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:16 | 4 |
| დაინავა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:20 | 1 |

## უნგრეთი

მეორე ეტაპი

მე-14 ტური: ჰონვედი — მტკ 1:0; ფერენცვაროში — ტატაბანია 0:0; შოპრონი — უიპეშტი 2:1; დუნაფერი — ზალაეგერსეგი 2:1; ვაშაში — დიორ ეტო 1:0; დებრეცენი — ვიდეოტონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 14 | 8 | 5 | 1 | 24:5 | 33 |
| ჰონვედი | 14 | 8 | 3 | 3 | 25:17 | 28 |
| მტკ | 14 | 6 | 4 | 4 | 16:9 | 28 |
| უიპეშტი | 14 | 7 | 2 | 5 | 24:23 | 28 |
| დუნაფერი | 14 | 7 | 1 | 6 | 20:24 | 27 |
| ვაშაში | 14 | 6 | 4 | 4 | 23:20 | 26 |
| დიორ ეტო | 14 | 6 | 4 | 4 | 16:14 | 24 |
| შოპრონი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:18 | 20 |
| ვიდეოტონი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:19 | 19 |
| ზალაეგერსეგი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:19 | 18 |
| დებრეცენი | 14 | 3 | 1 | 10 | 19:32 | 13 |
| ტატაბანია | 14 | 1 | 2 | 11 | 9:29 | 11 |

*მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია*

## იუგოსლავია

27-ე ტური: ზემუნი — სუტიესკა 3:1; ოფკ — ვოივოდინა 1:3; ბუდუჩნოსტი — ნაპრედაკი 0:0; ჰაიდუკი — ზეტა 1:0; სარტიდი — ჟელეზნიკი 3:2; პარტიზანი — რადი 2:1; რადნიჩკი (ნიში) — ცრვენა ზვეზდა 0:2; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ჩუკარიჩკი 3:1; ობილიჩი — მილიციონარი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 27 | 21 | 4 | 2 | 67:16 | 67 |
| პარტიზანი | 27 | 22 | 1 | 4 | 72:23 | 67 |
| ობილიჩი | 27 | 16 | 5 | 6 | 43:26 | 53 |
| სარტიდი | 27 | 15 | 2 | 10 | 42:35 | 47 |
| ოფკ | 27 | 13 | 5 | 9 | 42:33 | 43 |
| ჰაიდუკი | 27 | 11 | 5 | 11 | 36:30 | 38 |
| ვოივოდინა | 27 | 10 | 7 | 10 | 38:28 | 37 |
| ზემუნი | 27 | 9 | 7 | 11 | 28:36 | 36 |
| ჟელეზნიკი | 27 | 9 | 7 | 11 | 36:45 | 35 |
| სუტიესკა | 27 | 10 | 4 | 13 | 36:49 | 34 |
| ჩუკარიჩკი | 27 | 10 | 2 | 15 | 30:39 | 32 |
| რ. კრაგუევაცი | 27 | 9 | 5 | 13 | 26:42 | 32 |
| ზეტა | 27 | 7 | 9 | 11 | 30:41 | 30 |
| ბუდუჩნოსტი | 27 | 8 | 5 | 14 | 20:31 | 29 |
| რადი | 27 | 8 | 4 | 15 | 33:49 | 28 |
| ნაპრედაკი | 27 | 6 | 9 | 12 | 25:41 | 27 |
| რ. ნიში | 27 | 7 | 5 | 15 | 22:46 | 26 |
| მილიციონარი | 27 | 7 | 4 | 16 | 24:40 | 25 |

## უკრაინა

მე-20 ტური: ცსკა — დინამო 1:5; შახტარი — კრივბასი 2:1; მეტალისტი — ტავრია 3:0; სტალი — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:4; ნივა — დნიპრო 0:2; ვორსკლა — კარპატი 2:0; მეტალურგი (დონეცკი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 20 | 15 | 4 | 1 | 52:18 | 49 |
| დინამო | 20 | 15 | 3 | 2 | 49:14 | 48 |
| დნიპრო | 20 | 13 | 4 | 3 | 28:14 | 43 |
| მ. დონეცკი | 20 | 9 | 9 | 2 | 25:16 | 36 |
| ცსკა | 20 | 8 | 8 | 4 | 27:18 | 32 |
| კარპატი | 20 | 8 | 2 | 10 | 29:32 | 26 |
| მ. მარიუპოლი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:25 | 25 |
| მ. ზაპოროჟიე | 20 | 6 | 7 | 7 | 24:27 | 25 |
| ტავრია | 20 | 5 | 9 | 6 | 17:22 | 24 |
| მეტალისტი | 20 | 5 | 5 | 10 | 19:32 | 20 |
| ვორსკლა | 20 | 5 | 4 | 11 | 15:24 | 19 |
| კრივბასი | 20 | 4 | 6 | 10 | 18:30 | 18 |
| სტალი | 20 | 2 | 4 | 14 | 14:41 | 10 |
| ნივა | 20 | 2 | 3 | 15 | 18:46 | 9 |

## ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატი

ინგლისი 2001 UEFA UNDER-16 Championship

მეოთხედფინალი

თურქეთი 0:2 ხორვატია

საფრანგეთი 2:0 რუსეთი

ნახევარფინალი

ესპანეთი — ხორვატია

ინგლისი — საფრანგეთი

*მატჩები ხვალ გაიმართება*

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

I ჯგუფი. I ტური

ომანი — ლაოსი 12:0; სირია — ფილიპინები 12:0

IX ჯგუფი. V ტური

კამბოჯა — ინდონეზია 0:2; მალდივეთი — ჩინეთი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდონეზია | 3 | 3 | 0 | 0 | 13:0 | 9 |
| ჩინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 11:1 | 6 |
| მალდივეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:17 | 4 |
| კამბოჯა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:15 | 1 |

6 მაისი: მალდივეთი — ინდონეზია; კამბოჯა — ჩინეთი

## აფრიკის კონფედერაციის თასი

1/4 ფინალის წილისყრა

*19 მაისი: მალავი — სამხრეთ აფრიკა*

*10 ივნისი: ანგოლა — მავრიკეთი*

*24 ივნისი: ლესოტო — ზამბია*

*8 ივლისი: ზიმბაბვე — სვაზილენდი*

## ნორვეგია

მე-3 ტური: ბრანი — ბრინი 3:4; ლილესტრიომი — სოგნდალი 4:1; ლინი — ოდ გრენლანდი 1:2; მოლდე — მოსი 1:1; სტაბეკი — სტრომსგოდსეტი 4:0; ვიკინგი — ტრომსო 4:0; ბოდო გლიმტი — როზენბორგი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:4 | 9 |
| ოდ გრენლანდი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ლილესტრიომი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| როზენბორგი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| სტაბეკი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ტრომსო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| მოლდე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ბრინი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბრანი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| სოგნდალი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| ლინი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| მოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| სტრომსგოდსეტი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |
| ბოდო გლიმტი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

## საბერძნეთი

27-ე ტური: პანიონიოსი — იანინა 4:0; ათინაიკოსი — ქსანტი 2:2; არისი — კალამატა 3:2; ეთნიკოსი — პაოკ 3:3; ოფი — პანაჰაიკი 0:1; იონიკოსი — პანათინაიკოსი 3:3; პანილიაკოსი — აეკ 0:3; ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 27 | 24 | 2 | 1 | 80:18 | 74 |
| პანათინაიკოსი | 27 | 18 | 6 | 3 | 53:17 | 60 |
| აეკ | 27 | 16 | 4 | 7 | 55:32 | 52 |
| პაოკ | 27 | 13 | 9 | 5 | 58:42 | 48 |
| ირაკლისი | 27 | 12 | 4 | 11 | 38:34 | 40 |
| არისი | 27 | 12 | 4 | 11 | 31:35 | 40 |
| იონიკოსი | 27 | 10 | 8 | 9 | 39:41 | 38 |
| ქსანტი | 27 | 10 | 5 | 12 | 20:32 | 35 |
| პანიონიოსი | 27 | 8 | 9 | 10 | 35:35 | 33 |
| პანაჰაიკი | 27 | 8 | 6 | 13 | 35:47 | 30 |
| ეთნიკოსი | 27 | 7 | 7 | 13 | 28:48 | 28 |
| იანინა | 27 | 6 | 8 | 13 | 34:51 | 26 |
| ოფი | 27 | 6 | 8 | 13 | 32:47 | 26 |
| პანილიაკოსი | 27 | 6 | 8 | 13 | 23:39 | 26 |
| კალამატა | 27 | 4 | 9 | 14 | 35:54 | 21 |
| ათინაიკოსი | 27 | 5 | 5 | 17 | 34:57 | 20 |

## პოლონეთი

22-ე ტური: პოლონია — ვისლა 0:2; სტომილი — პლოცკი 1:0; ოდრა — ლეგია 1:5; ვიძევი — გროცლინი 1:2; ამიცა — შლიონსკი 0:1; პოგონი — ზაგლებე 1:1; გურნიკი — რაძიონკოვი 0:1; კატოვიცე — რუხი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 22 | 15 | 4 | 3 | 51:18 | 49 |
| ლეგია | 22 | 12 | 7 | 3 | 38:18 | 43 |
| პოგონი | 22 | 12 | 5 | 5 | 33:21 | 41 |
| პოლონია | 22 | 11 | 4 | 7 | 29:20 | 37 |
| კატოვიცე | 22 | 7 | 11 | 4 | 23:15 | 32 |
| ზაგლებე | 22 | 9 | 4 | 9 | 33:30 | 31 |
| ამიცა | 22 | 8 | 5 | 9 | 36:35 | 29 |
| რუხი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:33 | 29 |
| გროცლინი | 22 | 7 | 7 | 8 | 25:26 | 28 |
| შლიონსკი | 22 | 7 | 5 | 10 | 22:28 | 26 |
| ვიძევი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:36 | 26 |
| ოდრა | 22 | 7 | 5 | 10 | 25:37 | 26 |
| სტომილი | 22 | 7 | 4 | 11 | 18:32 | 25 |
| რაძიონკოვი | 22 | 8 | 1 | 13 | 19:36 | 25 |
| გურნიკი | 22 | 6 | 5 | 11 | 20:27 | 23 |
| პლოცკი | 22 | 5 | 3 | 14 | 23:43 | 18 |

## არგენტინა

კლაუსურა

მე-14 ტური: ჩაკარიტა ხუნიორსი — ტალერესი 1:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — რივერ პლეიტი 2:3; სან ლორენსო — ლოს ანდესი 1:0; ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 2:1; ალმაგრო — ესტუდიანტესი 0:4; ბელგრანო — ურაკანი 1:2; ხიმნასია (ლა პლატა) —ველეს სარსფილდი 2:2; უნიონი — კოლონი 1:1; რასინგი — ლანუსი 1:1; არგენტინოს ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 14 | 10 | 2 | 2 | 34:20 | 32 |
| სან ლორენსო | 14 | 10 | 2 | 2 | 29:16 | 32 |
| ბოკა ხუნიორსი | 14 | 7 | 3 | 4 | 23:20 | 24 |
| არგ. ხუნიორსი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:16 | 22 |
| ჩაკარიტა | 14 | 6 | 4 | 4 | 14:15 | 22 |
| ურაკანი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:21 | 21 |
| რასინგი | 14 | 5 | 6 | 3 | 14:14 | 21 |
| არმაგრო | 14 | 5 | 5 | 4 | 20:15 | 20 |
| ოლდ ბოიზი | 14 | 6 | 2 | 6 | 23:20 | 20 |
| ესტუდიანტესი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:16 | 20 |
| ტალერესი | 14 | 6 | 2 | 6 | 18:19 | 20 |
| ველესი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:19 | 17 |
| კოლონი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:19 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 14 | 4 | 3 | 7 | 15:15 | 15 |
| ლანუსი | 14 | 4 | 3 | 7 | 23:24 | 15 |
| უნიონი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:24 | 15 |
| ლოს ანდესი | 14 | 3 | 5 | 6 | 16:23 | 14 |
| როსარიო | 14 | 3 | 4 | 7 | 17:26 | 13 |
| ხიმნასია | 14 | 2 | 6 | 6 | 17:22 | 12 |
| ბელგრანო | 14 | 2 | 5 | 7 | 8:20 | 11 |

## თურქეთი

30-ე ტური: გაზიანთეფი — ანკარაგიუჯიუ 2:1; ქოჯაელი — ბეშიქთაში 1:1; ერზერუმი — რიზე 0:0; ისთანბული — იეთფა 2:1; გალათასარაი — ადანა 4:1; ბურსა — ანთალია 4:0; სამსუნი — იოზგათი 0:2; გენჩლერბირლიგი — დენიზლი 2:4; ტრაბზონი — ფენერბაჰჩე 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 30 | 21 | 4 | 5 | 68:31 | 67 |
| ფენერბაჰჩე | 30 | 20 | 4 | 6 | 73:36 | 64 |
| გაზიანთეფი | 30 | 18 | 7 | 5 | 61:35 | 61 |
| ბეშიქთაში | 30 | 17 | 6 | 7 | 58:43 | 57 |
| ტრაბზონი | 30 | 15 | 6 | 9 | 63:44 | 51 |
| ანკარაგიუჯიუ | 30 | 13 | 8 | 9 | 53:50 | 47 |
| დენიზლი | 30 | 12 | 8 | 10 | 48:48 | 44 |
| სამსუნი | 30 | 12 | 7 | 11 | 46:43 | 43 |
| ისთანბული | 30 | 11 | 7 | 12 | 44:50 | 40 |
| იოზგათი | 30 | 10 | 9 | 11 | 43:41 | 39 |
| რიზე | 30 | 11 | 6 | 13 | 39:39 | 39 |
| გენჩლერბირ. | 30 | 12 | 3 | 15 | 39:47 | 39 |
| ბურსა | 30 | 10 | 7 | 13 | 49:51 | 37 |
| ქოჯაელი | 30 | 8 | 11 | 11 | 44:51 | 35 |
| ანთალია | 30 | 9 | 7 | 14 | 40:53 | 34 |
| ერზერუმი | 30 | 5 | 5 | 20 | 30:68 | 20 |
| იეთფა | 30 | 4 | 6 | 20 | 40:72 | 18 |
| ადანა | 30 | 2 | 9 | 19 | 41:77 | 15 |

## ჩეხეთი

26-ე ტური: სინოტი — პრჟიბრამი 0:1; სლავია — ჟიჟკოვი 1:0; ბლშანი — ბანიკი 3:0; ბუდეიოვიცე — იაბლონეცი 2:1; დრნოვიცე — ბრნო 2:2; ლიბერეცი — სპარტა 1:1; პლზენი — სიგმა 1:1; ბოჰემიანსი — ტეპლიცე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 25 | 18 | 4 | 3 | 60:25 | 58 |
| სიგმა | 26 | 12 | 9 | 5 | 45:31 | 45 |
| პრჟიბრამი | 26 | 12 | 8 | 6 | 35:23 | 44 |
| სლავია | 26 | 11 | 10 | 5 | 39:27 | 43 |
| ჟიჟკოვი | 26 | 11 | 8 | 7 | 38:34 | 41 |
| ტეპლიცე | 26 | 12 | 3 | 11 | 42:32 | 39 |
| ლიბერეცი | 26 | 11 | 6 | 9 | 36:30 | 39 |
| დრნოვიცე | 26 | 9 | 8 | 9 | 30:30 | 35 |
| ბოჰემიანსი | 26 | 8 | 9 | 9 | 31:33 | 33 |
| ბლშანი | 26 | 8 | 8 | 10 | 26:29 | 32 |
| სინოტი | 25 | 7 | 9 | 9 | 32:31 | 30 |
| იაბლონეცი | 26 | 7 | 8 | 11 | 22:34 | 29 |
| ბრნო | 26 | 7 | 6 | 13 | 23:32 | 27 |
| ბანიკი | 26 | 6 | 8 | 12 | 25:40 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 26 | 6 | 7 | 13 | 31:51 | 25 |
| პლზენი | 26 | 3 | 7 | 16 | 23:57 | 16 |

## შვედეთი

მე-4 ტური: აიკ — ტრელებორგი 2:1; სუნდსვალი — ჰალმსტადი 3:1; იორებრო — იურგორდენი 2:2; იორგრიტე — ჰელსინგბორგი 1:0; ელფსბორგი — ჰაკენი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| იორგრიტე | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| გიოტებორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| აიკ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| ჰაკენი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| სუნდსვალი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ჰალმსტადი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:5 | 4 |
| ჰამარბი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ელფსბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| ნორჩიოპინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| იორებრო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| იურგორდენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ტრელებორგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

მხოლოდ „მაწნის“ ჯიხურებში!



ვაჟა ჩხაიძე

მრეტები

Mrettebi Tbilisi Football Club

Fax +1 530 7342520

mrettebi@yahoo.com

www.geocities.com/mrettebi




ხესუს ხილი ხილ: ესეც ოცდაექვსი!

# მწვრთნელო-პეპელა

## ხესუს ხილის კოლექციაში კარლოს კონტარერო ოცდამეექვსე ეგზემპლარია

**რა ხანია**, აღარაფერი გვითქვამს მადრიდის „ატლეტიკოს" თავქარიან პრეზიდენტ ხესუს ხილზე. „ატლეტიკო", სავარაუდოდ, მომავალ სეზონშიც სეგუნდადივიზიონის ბინადარი იქნება და ვეჭვობთ, ამ კლუბისა და მისი პრეზიდენტის ხსენება ხშირად მოგვიხდეს, თუ, რა თქმა უნდა, ხილმა ისევ უცნაური რამეები არ ჩაიდინა.

ამჯერად ხილი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მწვრთნელი გააგდო. თავისთავად საოცარი ამაში არაფერია, რადგან ხილმა თავისი პრეზიდენტობის თოთხმეტ წელიწადში ოცდამეხუთე მწვრთნელი დაითხოვა და ერთით მეტი თუ ნაკლები ბევრს არაფერს ცვლის. თუმცა ვფიქრობთ, მარკოს ალონსოს მოხსნა არასწორი გადაწყვეტილება იყო.

„ატლეტიკო" ვალებშია ჩაფლული, რაც მის თამაშზე უთუოდ მოქმედებს. გუნდმა სეზონი სხვა მწვრთნელთან ერთად დაიწყო, ზედიზედ სამი თამაში წააგო და ხუთი ტურის მერე ოდენ ოთხი ქულა ჰქონდა. აი, ასეთი გუნდი ჩაიბარა მარკოს ალონსომ და ბოლო ადგილიდან მეხუთემდე ალაზევა. ახლა ისიც ვთქვათ, სტარტზე ჩავარდნა და ფინანსური პრობლემები რომ არა, „ატლეტიკო" ეგებ სამეულშიც ყოფილიყო, რაც გაისად პრიმერადივიზიონში დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა.

ჰოდა, რა დააშავა მარკოს ალონსომ? მისი გაშვების ოფიციალურ მიზეზად წინა უქმეებზე შინ „მურსიასთან" 0:3 მარცხი გამოცხადდა, რის შემდეგაც „ატლეტიკო" მესამეადგილოსან „ბეტისს" შვიდი ქულით ჩამორჩება, ხოლო სეზონის დასრულებამდე შვიდი ტურია დარჩენილი.

შვიდ ტურში შვიდქულიანი ჩამორჩენის ანაზღაურება წარმოუდგენელი ამბავი სულაც არ უნდა იყოს, მაგრამ ხილმა თქვა, პრიმერადივიზიონში დაბრუნებაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა და გუნდის საფუძვლიანი გადახალისება უნდა დავიწყოო.

სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე პრეზიდენტს შეაპარეს, ალონსოს გაშვება ასე აუცილებელი იყო თუ თქვენი მორიგი ხუშტურიაო. პირდაპირ ასე არ უკითხავთ, მაგრამ კითხვის არსი ეს იყო. ხილმა ამაზე უპასუხა, ასე რომ ყოფილიყო, ალონსო დიდი ხნის გაშვებული მეყოლებოდაო.

გუნდის ახალ მწვრთნელად კარლოს გარსია კონტარერო დაინიშნა. იგი აქამდე „ატლეტიკო B"-ს ავარჯიშებდა, რომელიც მესამე დივიზიონის ლიდერია. თუმცა „ატლეტიკო B"-ს სეგუნდადივიზიონში გადასვლა არ უწერია, რაკი ერთ კლუბს ერთ დივიზიონში ორი გუნდის ყოლის უფლება არა აქვს. გავიხსენოთ, რომ წინა სეზონში სათადარიგო ატლეტიკოელებს მყარად ჰქონდათ მოკიდებული ფეხი სეგუნდადივიზიონში, მაგრამ დიდ ატლეტიკოელთა დაქვეითების შემდეგ მესამეში მოისროლეს.

„დიდხანს არ მიფიქრია — თქვა კონტარერომ — წინადადება მივიღე თუ არა, უყოყმანოდ დავთანხმდი, რადგან „ატლეტიკოს" მწვრთნელობა უდიდესი პატივი და წინგადადგმული ნაბიჯია ჩემს სამწვრთნელო კარიერაში".

როგორც აღვნიშნეთ, კონტარერო ხესუს ხილის ოცდამეექვსე მწვრთნელია. როდის მოვა ოცდამეშვიდე?

**გიორგი დარჯანია**

# აფრორორიკა

**აფრიკაში** აფრენები გრძელდება — კონგოში ანუ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფეხბურთო მატჩის დროს გულშემატკივართა შორის აყალმაყალი ატყდა, რის შედეგადაც დაიღუპა შვიდი და დაშავდა სულ მცირე 51 ადამიანი. ვნებათაღელვა პოლიციამ ცრემლმდენი გაზით ჩააცხრო.

ქვეყნის ინფორმაციის მინისტრმა კიკაია ბინ კურაბომ კვირას დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, სააგენტო „როიტერს" ორშაბათს უფრო დაწვრილებით აუწყა. კერძოდ, ინციდენტი ქალაქ ლუბუმბაშის სტადიონზე მომხდარა, სადაც ერთმანეთს მტრად წაკიდებული ადგილობრივი კლუბები, „მაზემბე" და „ლუპოპო" ხვდებოდნენ. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე „მაზემბეს" ფეხბურთელებმა ანგარიში გაათანაბრეს, რამაც „ლუპოპოს" ქომაგები გაახელა და მათ მეტოქის მოზეიმე ფეხბურთელებს სხვადასხვა საგნები დაუშინეს. შემდეგ „ლუპოპოს" ფანები ამით არ დაკმაყოფილდნენ და მოედანზე გადაეშვნენ „მაზემბეს" ფეხბურთელების საცემად, რის დანახვაზეც საქმეში პოლიცია ჩაერია.

„საბოლოო სტატისტიკას ჯერ კიდევ ველით. ამ წუთისთვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით შვიდი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 51 დაშავდა და თან სერიოზულად" — თქვა კიკაიამ.


ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში

ფეხბურთი, NHL, NBA

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)


# ცოდვათაგან უმძიმესი ჯონათან აკპობორის კისერზე

## ვოლფსბურგის ნიგერიელი ბავშვებით ვაჭრობაში ამხილეს




ჯონათან აკპობორი

**დღევანდელ** საფეხბურთო სამყაროს მრავალი მანკიერება მოსძალებია და ფეხბურთის მამებიც მკაცრად დგანან მართლმსაჯულების სადარაჯოზე. ზოგს ფეხბურთელის ყალბი პასპორტის, ზოგს ულიერი საქციელის ან დოპინგთან და ალკოჰოლურ სასმელებთან სიახლოვის გამო საფეხბურთო სამყაროს რისხვა დაატყდა თავს და გარკვეული ხნით, ზოგ შემთხვევაში კი სამუდამოდაც მწვანე მინდვრის გარეთაც დარჩა.

ასეთი ამბები აღარავის უკვირს. აი, ჯონათან აკპობორის შესახებ ახალი ცნობა კი შეიძლება ფეხბურთელებთან დაკავშირებულ სკანდალების ისტორიაში სრულიად ახალი სიტყვაც იყოს.

აკპობორი ნიგერიელი კაცია და სატრანსპორტო კომპანია „ტიტანიკ ინვესტმენტსაც" ფლობს. თანამემამულეთა უმრავლესობის მსგავსად, ისიც ევროპაში თამაშობს და ამჟამად გერმანულ „ვოლფსბურგში" ირჯება. დიახ, ჯონათანი, ალბათ, ერთობა ფეხბურთით, ხოლო მისი ნაღდი მოღვაწეობის სფერო აფრიკის კონტინენტზე შავი საქმიანობა ყოფილა.

შავკანიან ფეხბურთელს თუ ის დანაშაული დაუმტკიცდა, რომელშიც მას ჰუმანიტარული ორგანიზაციები „იუნისეფი" და „ტერეს დეს ჰომესი" დებენ ბრალს, საფეხბურთო მოედნის გარდა კარგა ხნით თავისუფლების დათმობაც მოუწევს. ბრალდება ასეთია: ფეხბურთელი ბავშვებით ვაჭრობაშია ეჭვმიტანილი. მისი კომპანიის გემებს მონა ბავშვები აფრიკის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაჰყავდა და ალბათ ხელსაც გვარიანად ითბობდა. დიდი და შავი ფული სადაცაა, იქ სასჯელიც დიდია. ზემოთ ნახსენები ორგანიზაციები კი სოლიდური დაწესებულებებია და ჯონათან აკპობორიც, როგორც ამბობენ ხოლმე, ყურებით არის დაჭერილი.

თავად ფეხბურთელი ამტკიცებს, მონა ბავშვებზე არანაირი წარმოდგენა არ მაქვსო, თუმცა აღიარებს, რომ გემი, რომელზედაც „უკანონო ტვირთი" აღმოაჩინეს მის კომპანიას ეკუთვნის. მართლმსაჯულებას ჯონათანის ფიცი სწამს, მაგრამ ბოლო კი ნამდვილად აკვირვებს. სასამართლო დარბაზში ზუსტად ფიცისა და ბოლოს შესაბამისობა განიხილება და თუ შავმა კაცმა და მისმა ადვოკატებმა ვერ ივარგეს, საფეხბურთო სამყაროს პირველი მონათვაჭარი ფეხბურთელი, ალბათ, გისოსებს მიღმა შეიტყობს ხოლმე ოდესღაც თავისი საყვარელი საქმიანობის სიახლეებს.

**გიორგი გამარდაშვილი**

### ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელ** ნახევარმცველ ჯალმინიას კიდევ ერთი მსურველი კლუბი გამოუჩნდა — მის გადაბირებას სეზონის ბოლოს „ნიუკასლ იუნაიტედი" აპირებს. თუმცა ესპანეთის ჩემპიონ „დეპორტივოს" არაერთხელ განუცხადებია, რომ ბრაზილიელის გაყიდვა მის გეგმებში არ შედის. თავად ჯალმინიასაც ბევრჯერ დაუდასტურებია, რომ კლუბის გამოცვლა არ სურს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელით ძირითადად იტალიური კლუბები არიან დაინტერესებულნი, მათ შორის ყველაზე მეტად „მილანი".

**გერმანიის** ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა" დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველ მიროსლავ სტევიჩს მიაპყრო ყურადღება. თავად ფეხბურთელიც არ გამორიცხავს, რომ სეზონის ბოლოს შესაძლოა კლუბი გამოიცვალოს, თუმცა მანამდე კონკრეტულად რაიმეს გადაწყვეტას არ აპირებს. აღსანიშნავია, რომ მას დორტმუნდულ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. „ბორუსიას" ჯერჯერობით არ განუცხადებია, თუ რამდენს მოითხოვს სტევიჩის სანაცვლოდ.

**ბრაზილიური** „სან პაულუს" მეკარე როჟერიო სენი ლონდონის „არსენალს" ვეტერანი დევიდ სიმენის შემცვლელად ევულება. ლონდონელები როჟერიოსთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ და მას ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. ისიც გაცხადდა, რომ „სან პაულუ" გოლკიპერის სანაცვლოდ 55 მილიონ გირვანქას ითხოვს. თუმცა მეკარეს „არსენალის" გარდა სხვა ევროპული კლუბებიც აკვირდებიან.

**ბელგიური** „ანდერლეხტის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მადრიდის „რეალი" კლუბის რუმინელი ნახევარმცველის ალინ სტოიკას შეძენითაა დაინტერესებული. „ფეხბურთელის აგენტმა დაადასტურა, რომ მას „სამეფო კლუბიდან" დაუკავშირდნენ. ისიც შევიტყვეთ, რომ ესპანურმა გუნდმა სტოიკას თამაშის სანახავად ბრიუსელში რამდენჯერმე წარმომადგენლები გამოგზავნა" — თქვა „ანდერლეხტის" სპორტულმა დირექტორმა. ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ 21 წლის რუმინელ ფეხბურთელს ბრიუსელურ კლუბთან 2002 წლამდე აქვს კონტრაქტი.

# რუმინული პორნო გეორგე ჰაჯით დაიწყო



## ჩაცმულ-დახურული კაცი ლარი ფლინტის წინააღმდეგ

**თუ** მილოშ ფორმანის ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღდეგ" არ გინახავთ, უნდა განვმარტოთ, რომ ლარი ფლინტი ამერიკული პორნოგრაფიული ჟურნალის, HUSTLER-ის გამომცემელია და ამ საქმეს იმ დროიდან მისდევს, როცა სხვები ვერ ბედავდნენ. ამ ოციოდე წლის წინ მავანი მორალისტის ტყვიამ ლარი ფლინტი ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ახლახან HUSTLER-ის რუმინული ვერსიაც გამოვიდა, რომლის გარეკანზეც გეორგე ჰაჯი ხატია. ვისაც ეს სახელი არ გაუგია, იმათთვის ვთქვათ, რომ ჰაჯი ყველა დროის საუკეთესო რუმინელი ფეხბურთელია და ამჟამად სტამბოლის „გალათასარაიში" თამაშობს. აქვე აღვნიშნოთ, რომ პორნოგრაფიული ჟურნალის ფურცლებზე ჰაჯის ჩაცმულ-დახურული ფოტოები და მისი ინტერვიუა დაბეჭდილი, რომელშიც ყველაფერზეა ლაპარაკი, სექსის გარდა.

ჰაჯი ცოფებს ყრის: „ჩემი მშობლები ცოცხლები რომ იყვნენ, სირცხვილით დაიწვებოდნენ. HUSTLER-ისთვის ინტერვიუ არასდროს მიმიცია და არც მივცემ! მამაჩემმა წესიერ კაცად აღმზარდა და პორნოგრაფიისა და მსგავსი სისაძაგლეების რეკლამირება არ უსწავლებია. ეს ყველაფერი ჩვენთან დასავლეთიდან შემოვიდა, მაგათ ფსევდოდემოკრატიასთან ერთად".

ახლა ჰაჯი იმაზე ფიქრობს, უჩივლოს თუ არა ჟურნალს სასამართლოში და ვერ გადაუწყვეტია, ვაითუ, სასამართლოში გარჩევა ჟურნალისთვის რეკლამად იქცესო.

არადა, საოცარია, საიდან გაჩნდა ეს არარსებული ინტერვიუ მით უფრო, რომ რუმინული HUSTLER-ის რედაქტორი ჰორეა ბაბაკუ ირწმუნება, ყველაფერი ნაღდიაო. „შესაძლოა, ჰაჯიმ არ იცოდა, სად უნდა დაბეჭდილიყო მისი და გრიგორიუ კარდიანუს საუბარი" — თქვა რედაქტორმა.

აღვნიშნოთ, რომ კარდიანუ ცნობილი რუმინელი სპორტული ჟურნალისტია, რომლის თანაავტორობითაც ორი წლის წინ გეორგე ჰაჯიმ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოსცა. სავარაუდოა, რომ ჟურნალისტმა ჰაჯისთან საუბარი ჩაწერა და HUSTLER-ს მიჰყიდა.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## ლიდს იუნაიტედი — ვალენსია

ლიდსი, «ელანდ როუდი». 23.45 ჩვენი დროით

### სავარაუდო შემადგენლობები

მარტინი, კელი, ჰარტი, ფერდინანდი, მატეო, ბოიერი, ბაკე, დაკური, ბეტი, ვიდუკა, სმიტი

კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, კარბონი, მენდიეტა, ბარახა, კილი გონსალესი, აიმარი, კარეუ, ხუან სანჩესი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

# სადამდე?

## გაოგნებული გამაოგნებელი ასეთივეს წინააღმდეგ



ოლივიე დაკურმა, იან ჰარტმა და ლიდსელებმა ნახევარფინალამდე მიირბინეს

**„ლიდსი“** თავს იზღვევს, თუმცა დაზღვევა, ფაქტობრივად, არ სჭირდება.

„ხშირად მეკითხებიან, წარმოიდგენდით თუ არა, რომ თქვენი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდოდაო — ამბობს დევიდ ოლირი — გულახდილად ვპასუხობ, წარმოვიდგენდი კი არა, გაოგნებული ვარ“.

ეს კი ლიდსელი მცველის, იან ჰარტის სიტყვებია: „შეხედეთ, რომელი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში და მაშინვე დარწმუნდებით, რომ მათგან უსუსტესები ვართ. „რეალს“, „ბაიერნს“ და „ვალენსიას“ ევროტურნირებზე თამაშის ბევრად დიდი გამოცდილება აქვთ და სამართლიანადაც არიან ევროპულ საფეხბურთო ელიტაში. ამ გუნდებით აღფრთოვანებული ვარ, ჩვენ კი მხოლოდ ვადგავართ იმ გზას, რომელიც მათ უკვე გაიარეს“.

ამ კომენტარებიდან აშკარად ჩანს, რომ ლიდსელები თავს იზღვევენ. მაგრამ კითხვა ასე დავსვათ — ვინ დაძრახავს „ლიდსს“, თუ ის ფინალში გასვლას ვერ შეძლებს? ვფიქრობთ, ვერავინ. ამ ახალგაზრდულმა გუნდმა ლიგის პირველ ეტაპზე ჯგუფში „ბარსელონა“ ჩატოვა, მეორე ეტაპზე — „ლაციო“, მეოთხედფინალში ესპანეთის ჩემპიონი დაამარცხა და მხოლოდ ქების სიტყვებს თუ იმსახურებს. მით უფრო, რომ ლიგის მონაწილე არც ერთი გუნდი ისე არ შეუწუხებია ტრავმებს, როგორც „ლიდსი“, რამდენიმე ფეხბურთელი მატჩებს შორის მთელ დროს სასამართლოში ატარებდა და ეს განახევრებული გუნდი პარალელურად ურთულეს მარათონში — პრემიერლიგაშიც საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის, სადაც ბოლო ტურში „ჩელსის“ დამარცხებით მესამე ადგილზე ალზევდა.

სხვებსაც მოვუსმინოთ. „ვალენსიას“ მეკარე სანტიაგო კანისარესმა თქვა, ახლანდელი „ლიდსი“ იმაზე ბევრად ძლიერია, სეზონის დასაწყისში „კამპ ნოუზე“ 0:4 რომ წააგოო. „მათ არ ჰყავთ ვარსკვლავები — განსჯის კანისარესი — მაგრამ ისინი თამაშობენ პრინციპით: ყველა ერთისთვის, ერთი ყველასათვის. ეს უაღრესად ბრძოლისუნარიანი და პატივმოყვარე გუნდია“.

ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვებია, რასაც მეტოქეები ჩვეულებრივ თამაშის წინ ამბობენ ხოლმე, თორემ დევიდ ოლირის ნათქვამი იმას როდი ნიშნავს, თითქოს „ლიდსი“ განწირულია და „ვალენსია“ მისთვის გადაულახავი ბარიერია. ოღონდ, ერთიცაა, „ვალენსია“ „დეპორტივოს“ გაკვეთილს კარგად ისწავლის, უფრო ფრთხილად ითამაშებს და სამ გოლს არ გაგვატანინებსო, დაუმატა ლიდსელთა თავკაცმა.

„ლიდსის“ წისქვილს ორი გარემოებაც ასხამს წყალს. ტრავმირებულ ფეხბურთელთა ნაწილი ექიმთა ხელიდან უკვე მწვრთნელის ხელში მოხვდა და ბოიერ — ვუდგეიტის საქმეც შემოდგომამდე გადაიდო. თუმცა ბოლო წამს ინგლისელებს ერთი უსიამოვნო ამბავი მაინც შეემთხვათ — „ჩელსისთან“ ნახსენებ მატჩში რიო ფერდინანდი დაშავდა და მართალია, სავარაუდო შემადგენლობაში მოხსენებულია, შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

„ვალენსიას“ დანაკლისი ორი კაცით შემოიფარგლება, ადრიან ილიე თბილისიდან წასვლის მერე მკურნალობს, ხოლო მიგელ ანხელ ანგულო დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, ექტორ რაულ კუპერს ორი ისეთი ფეხბურთელი დაემატა, რომლებსაც წინა თამაშები გაუცდა. ფაბიან აიალამ ტრავმა მოიშუშა, რის გამოც მას „არსენალთან“ საშინაო შეხვედრა გაუცდათ. მასთან ერთად მომჯობინდა კილი გონსალესიც, რომელსაც პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის მატჩის გამოტოვება მოუხდა.

ისე, „ვალენსიას“ ზედმიწევნით კორექტულად მოუწევს თამაში. საქმე ის გახლავთ, რომ ერთბაშად რვა ფეხბურთელს აშორებს დისკვალიფიკაციამდე ყვითელი ბარათი.

ბოლოს ისევ მწვრთნელთა მოსაზრებებს მივუბრუნდეთ. დევიდ ოლირის მიზნად დაუსახავს, რომ „ელანდ როდზე“ როგორმე გოლი არ გაუშვას, ხოლო ექტორ კუპერს წინა სეზონი გახსენებია, მაშინ ყველა ჩვენი წინსვლით იყო გაკვირვებული და ახლა „ლიდსისაო“.

**გიორგი დარჯანია**



დევიდ ოლირი



ექტორ რაულ კუპერი

### ურთიერთშეხვედრები ევროთასებზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.02.66 | უეფას თასი | ლიდს იუნაიტედი — ვალენსია | 1:1 |
| 16.02.66 | უეფას თასი | ვალენსია — ლიდს იუნაიტედი | 0:1 |
| 18.01.67 | უეფას თასი | ლიდს იუნაიტედი — ვალენსია | 1:1 |
| 08.02.67 | უეფას თასი | ვალენსია — ლიდს იუნაიტედი | 0:2 |

# აქაც შერი!



ტედი შერინგემი და სტივენ ჯერარდი

**ტედი შერინგემი** ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ძველი ამბავიაო, იტყვით, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფეხბურთის სამშობლოში სეზონის რჩეულებს ორი ორგანიზაცია ასახელებს: ფეხბურთზე მწერალი ხალხი ანუ ჟურნალისტები და პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია.

20 აპრილს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ჟურნალისტთა გამოკითხვაში იმარჯვა, კვირას კი ლონდონში გამართულ საზეიმო წვეულებაზე კოლეგების აღიარებაც დაიმსახურა. „პირველად ამ დაჯილდოებაზე 17 თუ 18 წლისა მოვხვდი. მაშინ „მილუოლში“ ვთამაშობდი და ვოცნებობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთავარი ჯილდო ჩემთვისაც მოენიჭებინათ“ — თქვა ტედი შერინგემმა, ვისაც პრიზი ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ნიჩბოსანმა სტივ რედგრეივმა გადასცა და ვინც ამ პრიზის არსებობის ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ლაურეატი გახდა. 35 წლის შერინგემმა ჩამოიტოვა თანაკლუბელი როი კინი და „არსენალის“ ფრანგი ფორვარდი ტედი ანრი, რომლებიც, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად კი „ლივერპულისა“ და ეროვნული გუნდის ნახევარმცველი, 20 წლის სტივენ ჯერარდი დაასახელეს. მეორეზე „ვესტ ჰემის“ ჯო კოული გავიდა, მესამეზე კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი ვეს ბრაუნი. ჯერარდს ნანატრი ჯილდო თვით სვენ გორან ერიკსონმა მიართვა — ნაკრების შვედი მწვრთნელი ხომ ამ ფეხბურთელის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელია. ჯერარდის ბოლოდროინდელ პროგრესს არც კლუბში მისი დამრიგებელი, ფრანგი ჟერარ ულიე უარყოფს, თუმცა აცხადებს: „თუ სტივენს ნამდვილი ვარსკვლავობა სურს, ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს. და საერთოდ, მალე უნდა დავამსხვრიოთ ინგლისური კულტურა, რომელიც აქაურ ფეხბურთს ახლავს. სტივენმა აღარ უნდა დალიოს, სწორად იკვებოს, დროულად ივარჯიშოს და დასვენების საათები მართლაც დასვენებისთვის გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში მას მინდორზე საუკეთესო 10 წელი ელის“.

საინტერესოა, რომ სწორედ ჯერარდმა დაიკავა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში დევი ბექემის ადგილი. მანჩესტერელი ბოლო წლებში პირველად არ შეიყვანეს წლის გუნდში. სამაგიეროდ, იქ ჩემპიონებს ბარტეზი, სტამი, ბრაუნი, გიგზი და ცხადია, შერინგემი წარადგენენ.

ერთი გამოკითხვაც BBC-მ მოაწყო და თავის ინტერნეტ გვერდზე გულშემატკივართა რჩეული გამოავლინა. მონაწილეთა 37 პროცენტმა სეზონის ფეხბურთელად „იფსვიჩისა“ და პრემიერლიგის მთავარი მეგოლე მარკუს სტიუარტი დაასახელა, შერინგემს კი ოდენ 10 პროცენტი ერგო.

**გიგა ქობახიძე**

# ვიალი ინგლისს ნასწავლი უბრუნდება



**ახლა,** როცა გაზეთს კითხულობთ, შესაძლოა, ჯანლუკა ვიალი უკვე „უოტფორდის“ მწვრთნელია. ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბის ხელმძღვანელობამ გაავრცელა ცნობა, რომ ოთხშაბათ დილით პრესკონფერენციას აწყობს, რომლის ერთადერთ თემად სავარაუდოდ თავხოტორა იტალიელის დანიშვნა უნდა იყოს.

თუ მართლაც ასე მოხდა, 36 წლის იტალიელი დაბრძნებული დაუბრუნდება ინგლისს, რომელიც გასული წლის 12 სექტემბერს დაატოვებინა კენ ბეიტსმა, „ჩელსის“ თავმჯდომარემ. დაბრძენებული კი იმიტომ, რომ ვიალიმ უქმად ყოფნას სწავლა ამჯობინა და უეფას სამწვრთნელო კურსი მოისმინა.

**გიორგი დარჯანია**

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# აკვრა-ატაცის ბალანსი

## ასანიძე ზედმეტს არაფერს აკეთებს

სლოვაკურ ტრენჩინში გასრულებულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქართველთათვის წარმატებული გამოდგა, ბევრად უფრო წარმატებული, ვიდრე მოველოდით. ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი ასანიძის მიერ ატაცში, აკვრასა და საერთო ჩათვლაში დასაკუთრებულმა სამმა „ოქრომ“ და ალეკო ნოზაძის ატაცში მოპოვებულმა „ბრინჯაომ“ საქართველოს ნაკრები ძალოსნობის ისტორიაში პირველად გაიყვანა საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილზე.

ამაში, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროპის ჩემპიონატის გმირ გიორგი ასანიძეს. მას გუშინ, ტრენჩინიდან თბილისში დაბრუნებისთანავე აეროპორტში გავესაუბრეთ.



გიორგი ასანიძე

**— ეს თქვენი პირველი შეჯიბრება იყო ხელის ოპერაციის შემდეგ. ეტყობა, კარგად გაუძელით გამოცდას, რადგან გაიმარჯვეთ.**

— ოპერაცია შედეგიანი აღმოჩნდა. ადრინდელთან შედარებით უკეთესობა ნამდვილად იგრძნობა, თუმცა ტრავმა ბოლომდე მაინც არ არის მოშუშებული. ასპარეზობისას ხანდახან მაწუხებდა, მაგრამ ისე აღარ მტკიოდა, როგორც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ან სხვა შეჯიბრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცოტა დრო მქონდა, ფორმაში შესვლა მაინც მოვასწარი.

**— მზადების პირობებით კმაყოფილი ხართ?**

— ყველანაირი პირობა მქონდა. მხოლოდ ტრავმა მაწუხებდა. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზე იყო.

**— გამარჯვებით, ბუნებრივია, კმაყოფილი იქნებით, მაგრამ შედეგით?**

— ასე თუ ისე, შედეგითაც კმაყოფილი ვარ. ამ ეტაპისთვის ეს საკმარისია, მაგრამ არა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. იქ წარმატების მისაღწევად გაცილებით მეტის გაკეთებაა საჭირო — ორჭიდის ჯამში, ალბათ, 10-12 კილოგრამით მეტის დაძლევა მომიხდება, ამისთვის კი, შესაბამისად, მეტი დატვირთვით უნდა მოვემზადო.

**— ატაცის შედეგით უფრო კმაყოფილი ხართ თუ აკვრის შედეგით?**

— საერთოდ, ასპარეზობით ვარ კმაყოფილი. ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ატაცშიც და აკვრაშიც თანაბარი ბალანსი მქონდა.

**— თქვენს წონაში ფავორიტთაგან ბერძენი დიმასისა და გერმანელი ჰუსტერის გარდა ვინ არ მონაწილეობდა?**

— ყველანი იქ იყვნენ, პიროს დიმასმა კი ოლიმპიადის მერე მხრის ოპერაცია გაიკეთა. ამიტომაც იყო, რომ ევროპულ ფიცარნაგზე ვერ ვიხილეთ. შეიძლება წლის ბოლომდე აღარც კი გამოვიდეს სარბიელზე. აი, მომავალი წლიდან კი მის დაბრუნებას უნდა ველოდოთ.

**— ყველა ძირითადი კონკურენტი რომ გამოსულიყო, გამარჯვებისთვის ალბათ მეტი წონის დაძლევა მოგიწევდათ. საამისოდ თუ იყავით მზად?**

— მე გავაკეთე იმდენი, რამდენიც ჩემპიონობისთვის იყო საჭირო. ზედმეტად თავგამოდებას სჯობია იმდენს შეეჭიდო, რამდენიც გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასასვლელადაა საჭირო.

**— თქვენი თანაგუნდელის ალეკო ნოზაძის გამოსვლაც გვაინტერესებს.**

— ალეკომ საერთო ჯამში მეხუთე ადგილი დაიკავა, ატაცში კი ბრინჯაოს მცირე მედალი მოიპოვა. ასე რომ, თუ მეტი ხელშეწყობა გვექნება, მომავალი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის შეიძლება უკეთეს შედეგებზეც ვიფიქროთ.

**— ბუნებრივია, ქართველ მკითხველს კახი კახიაშვილის ამბავიც აინტერესებს.**

— ამჟამად ცოტ-ცოტას ვარჯიშობს. მოგეხსენებათ, ოლიმპიადისას კახიმ ტრავმა მიიღო. ახლა აღდგენით პროცესშია.

**— წლეულს კიდევ რა გეგმები გაქვთ?**

— ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა, მანამდე კი ვარჯიში, ვარჯიში და ისევ ვარჯიში.

**გიგა გურასაშვილი**



ევროპის ქალთა ჩემპიონატი (ვარშავა)

# ნაბიჯები წინ, ნაბიჯი უკან

**ორი** ამბავია ვარშავიდან, კარგი და ცუდი. ცუდი ის, რომ ევროპის ქალთა ჩემპიონატის მე-8 ტურში ქეთევან არახამია-გრანტმა უკრაინელ ინა გაპონენკოსთან წააგო და ცხრილის სათავეს ჩამოშორდა. კარგს რაც შეეხება, მომყოლი ქართველები გაისარჯნენ ფრიადზე. ნინო ხურციძემ რუმინელ გაბრიელა ოლარაზუს მოუგო და ქართველებში საუკეთესო შედეგი გაუხდა. მოიგეს აგრეთვე ანა მათნაძემ და სოფო ტერელაძემ. ახლა ხურციძეს 6 ქულა აქვს და 9 თავისნაირთან ერთად მხოლოდ ლიდერთა დუეტს — გაპონენკოსა და იუგოსლაველი ნატაშა ბოიკოვიჩს ნახევარი ქულით ჩამორჩება. მოწინავე განთესილებიდან წარმატებული ტური მხოლოდ რუმინელმა კორინა პეპტანმა (4) ჩაატარა, რომელმაც ლატვიელ დანა რეიზნიცეს მოუგო და ხურციძესავით 6 ქულა აქვს. პირველ ნომრად განთესილმა ალისა გალიამოვა-ივანჩუკმა ორი მოგების შემდეგ ისევ წაგება გაიხსენა და ქულა სომეხ ლილიტ მკრტჩიანს დაუთმო. ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა რუმინელ ირინა იონესკუ-ბრანდისს დაუზავდა და ახლა ის და გალიამოვა 5-ქულიანთა კოჰორტაში არიან 25 მოჭადრაკის გვერდით, რომელთა შორის მათნაძეს და ტერელაძესაც ნახავს კაცი. არახამიას 5,5 ქულა აქვს 7 სხვასთან ერთად. მთლიანად მერვე ტურში ქართველებმა 3 პარტია მოიგეს, 5 წააგეს და 3-ში დაზავდნენ. ფინიშამდე 3 ტურით ადრე სიტუაცია შვეიცარიული სისტემის შესაფერისად ბუნდოვანია.

**დავით გულუა**

დოს ერმანასის ტურნირი

# კრასენკოვი: ერთი ყველასთვის

**დამთავრდა** დოს ერმანასის მე-16 კატეგორიის ტურნირი. ბოლო ტურის წინ სამი ლიდერი იყო — ებრაელი ილია სმირინი, რუსი ალექსანდრ დრეევი და ესპანელი მიგელ ილესკასი. მათ უშუალო სიახლოვეს ჩანდნენ ზურაბ აზმაიფარაშვილი და უნგრელი ზოლტან ალმაში. ცხრილის თავში ამგვარი სიმჭიდროვე იმის საბაბს იძლეოდა, რომ დაძაბული ფინიში გვევარაუდა, მაგრამ ასე არ მოხდა: მე-9 ტურის 5 პარტიიდან ოთხში ყაიმი აღინიშნა, მხოლოდ ესპანურ დაპირისპირებაში დაამარცხა ახალგაზრდა ფრანსისკო ვალეხომ გამოცდილი ილესკასი და ლიდერთა სამეულიდან განდევნა.

აზმაიფარაშვილის ამოცანა არცთუ ტრივიალური იყო, შავებით ეთამაშებოდა სმირინს და მოგებით მეტოქეს ადგილს გაუცვლიდა, მაგრამ სმირინი მაღალი კლასის დიდოსტატია, შავებით მისი მორევა იოლი არ არის. ებრაელმა და ქართველმა პარტია საკმაოდ ჩქარა გადაიყვანეს ენდშპილში, სადაც აზმაიფარაშვილმა ტაქტიკური მეთოდებით მალე გაათანაბრა თამაში. ბოლოში თეთრებს ორივე ფლანგზე წყვილად პაიკები ეყენათ, შავებისა კი ოთხივე ლაზიერის ფრთაზე თავმოყრილიყო. ამათგან გამსვლელმა სულ მალე მესამე ჰორიზონტალს უწია და სმირინის კუ აიძულა, მისთვის ეყარაულა, მარტო მეფით ებრაელმა მეფის ფრთის პაიკების წინსვლა ვერ უზრუნველყო და ნახევარი ქულა იკმარა. დრეევმაც ვერ მოახერხა თეთრებით მიხაილ გურევიჩის დამარცხება და ქულათა ყველაზე მეტი მარაგით ტურნირი მან და სმირინმა დაასრულეს. მოჭადრაკეთა თითქმის ნახევარს 5 ქულა დაუგროვდა, ბოლო ადგილზე კი მეტად უნუგეშო შედეგით მიხაილ კრასენკოვი გავიდა, უდავოდ ძლიერი პოლონელი მოჭადრაკე, რომელსაც განწყობის კაცად იცნობენ. დოს ერმანასში იგი ხასიათზე ვერ იყო.

**დავით გულუა**

**საბოლოო ვითარება**

**1-2. ილია სმირინი (ისრაელი), ალექსანდრ დრეევი (რუსეთი) 5,5; 3-6. ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო), მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი), ზოლტან ალმაში (უნგრეთი) 5; 7. მიხაილ გურევიჩი (ბელგია) 4,5; 8-9. თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი), ივან სოკოლოვი (ბოსნია) 4; 10. მიხეილ კრასენკოვი (პოლონეთი) 1,5**

# ჩემპიონმა იმიჯი განიმტკიცა

**შაბათ-კვირას** ციურიხში ვიქტორ კორჩნოის 70 წლის იუბილე გადაუხადეს. სოლიდური ასაკისა და უაღრესად შფოთიანი ცხოვრების მიუხედავად (საბჭოთა კავშირში დაბადებული კორჩნოი მერე კომუნისტებს გაექცა და მათი საჩინო მტერი იყო), ჭადრაკის მაესტრო პენსიაზე არ გადის, მას თავისუფლად შეიძლება, ვეტერანთა მსოფლიოს ჩემპიონი ვუწოდოთ. არც შვილისტოლებს უშინდება კორჩნოი და ბოლო წლებშიც ბარე ორმა ჭამა მისი ალიყური. მსოფლიოს პირველობის ორგზის ფინალისტი შაბათს ასევე ენერგიულად ჩაერთო თავისი სახელობის ჩქარი ჭადრაკის ტურნირში და მეოთხედფინალში გააღწია, იქ კი გარი კასპაროვი ელოდა და მაესტრო გატყდა, წააგო შავებით, დაუზავდა თეთრებით. ამით ტურნირი მისთვის დამთავრდა, მაგრამ ჯგუფში ჩარჩენილ ახალ თაობას ხომ მოერია და ეს იყო მთავარი. ყველაზე გამორჩეულებმა კი განაგრძეს. კასპაროვის გარდა ციურიხს ჩასულიყვნენ ვლადიმირ კრამნიკი, პიოტრ სვიდლერი და ჯერონ პიკეტი. ჯგუფებში მათ იოლად დაფერთხეს ადგილობრივი ულონოები და მეოთხედფინალებიდან ერთმანეთს ეკვეთნენ. პირველი სისხლი პიკეტსა და სვიდლერს შორის დაიღვარა. სისხლი რუსისა იყო, მან ორივე პარტია წააგო. პიკეტი ნახევარფინალში გავიდა და კრამნიკს შეება. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ჩემპიონს, თავის მხრივ, მეოთხედფინალიდან გაეგდო გერმანელი უნციკერი და პიკეტსაც იგივე საქმე დამართა. პირველ პარტიაში კრამნიკი შავებით იყო და ჩვეულად ყაიმით დაკმაყოფილდა, მეორე კი თეთრებით მოიგო. ფინალში კრამნიკს, არც მეტი, არც ნაკლები, კასპაროვი ელოდა, რომელიც ბოლო საფეხურამდე ასე მივიდა: დაამარცხა კორჩნოი, როგორც გითხარით, იქით ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი მხოლოდ ბლიცებით დასძლია და ნახევარფინალი კასპაროვს 0,5:1,5 დაუთმო.



ვიქტორ კორჩნოის დაბადების დღე სანაქებოდ გადაუხადეს

ფინალის ინტრიგაზე ლაპარაკი ზედმეტია. ლონდონის მატჩი კრამნიკის გამარჯვებით დამთავრდა, ვიიკ აან ზეეს სუპერტურნირი — კასპაროვისა, ჩემპიონი კრამნიკია, რეიტინგების თავში კი კასპაროვი დგას. მოკლედ, ამ გაურკვევლობაში მათი ყველა პარტია ყურადღების ცენტრში ექცევა. ციურიხში კრამნიკმა იმძლავრა. ყაიმით დასრულებული პირველი პარტიის შემდეგ ჩემპიონმა მეორეში ლონივრად შეუტია და შავი თავდაცვის ძანგრევა შეძლო. კრამნიკი და კასპაროვი ალბათ მალე ასტანაშიც, კლასიკური ჭადრაკის ტურნირზე შეხვდებიან.

**დავით გულუა**


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით. დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე–19 კორპუსი, პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

ტელ: 397 198. 959 032. 8 77 428283



## საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

# გასეირნება ფინალის წინ

| ბასკო | 2 |
|---|---|
| მაკაბი | 0 |

1 მაისი. ბათუმი

**ბასკო 93:60 მაკაბი**

28:11, 17:14, 26:17, 22:18

**ბასკო:** როჯერსი (6), ბეჟანიშვილი (10), ორმოცაძე (9), ვ. ნაცვლიშვილი (19), კილაძე (7); მარკოიშვილი (7), ნიკოლაძე (1), გ. ნაცვლიშვილი (4), დროჟანოვი (21), ჯეშელავა(5), საყვარელიძე, აბრამიძე(4)

**მაკაბი:** წოწელია (14), ტუჯანი (11), სარიშვილი, დაჩუმი (12), შანიძე (21); მჭედლიშვილი, ქოქოსაძე (2), ფიცხელაური

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**ჩვენი** ჩემპიონატის კვალობაზე „მაკაბი" ურიგო გუნდი როდია, მაგრამ თბილისური პირველი მატჩის ფონზე ის რომ „ბასკოს" ბათუმში დამარცხებელი არ იყო, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

და მაინც, არც იმას ელოდა ბევრი, თუ ასე უსუსურად და უბრძოლველად გაირჯებოდნენ ჯამლეტ ხუხაშვილის შეგირდები.

„ბასკოს" მშვენიერი ვარჯიში გამოუვიდა სტუ-სთან ფინალურ სერიამდე. აბა, სხვაგვარად მათი ქმედება არც შეიძლება შეფასდეს. ზურაბ ტომარაძემ ახალი ტაქტიკური ჩანაფიქრების განხორციელებაც უპრობლემოდ შეძლო და გუნდიც ზედმეტი ოფლის ღვრის გარეშე გაიყვანა ფინალში.

მეორე მხრივ, ამან შეიძლება „ბასკოს" დათვური სამსახური გაუწიოს. გუნდი ერთგვარად მოშვებული ჩანდა და სტუდენტების წინააღმდეგ სათანადოდ განწყობა შეიძლება გაუჭირდეს.

თუმცა, ეს ნაკლებსავარაუდოა და „ბასკოც", რა თქმა უნდა, ფინალური სერიის ფავორიტად რჩება.

მატჩის დებიუტშივე წარმოჩინდა მასპინძელთა მაღალი კლასი და მეხუთე წუთისთვის, როცა ხუხაშვილმა წუთშესვენება აიღო, ანგარიში 12:1 იყო „ბასკოს" სასარგებლოდ. აჭრილ სტუმართ ზღვისპირელებმა სწრაფი თამაში და გარღვევები დაუპირისპირეს.

„მაკაბის" ვერც მწვრთნელის დარიგებამ არგო და ვახტანგ ნაცვლიშვილმა სხვაობა 16-ქულიანი გახადა.

სტუმრებს მთელი 4 წუთის განმავლობაში ქულაც ვერ აეღოთ და ტუჯანის ზუსტმა სროლამ სულზე მოუსწრო. კამერუნელი თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა პირველ მეოთხედში, მაგრამ მარტო მას ჩინებულად მოთამაშე „ბასკოსთან", აბა, რა შეეძლო. კვლავაც ნაცვლიშვილი გამოირჩა ბოლო წუთებში და მეოთხედის საბოლოო შედეგი ალბათ გადამწყვეტი იყო ამ მატჩში — 28:11.

„ბასკო" ყველა მეოთხედს ძირითადი შემადგენლობით იწყებდა და შემდეგ ახალბედებით აგრძელებდა. ჰოდა, არც ამათ გაუფუჭებიათ თამაშის სურათი, დროჟანოვი მეორე მეოთხედში ჩაერთო თამაშში და უმალ ზედიზედ სამი სამიანი გამოაცხო.

სტუმართაგან მეორე კამერუნელი, დაჩუმი და შანიძე ირჯებოდნენ უკეთ, ამათი გამოისობით მეორე მეოთხედი „მაკაბიმ" მხოლოდ სამი ქულით წააგო, მაგრამ ჯამში ოცი ქულით აგებდა.

მატჩის მეორე ნახევარი, ფაქტობრივად, არაფრისმეტყველი იყო. „ბასკო" ჩვეულად ირჯებოდა, ხოლო მეტოქე ინერციით ეწინააღმდეგებოდა. ერთადერთი შანიძეს და წოწელიას შერჩათ თამაშის ხალისი. განსაკუთრებით პირველს წაუვიდა სროლა და შედეგად დროჟანოვთან ერთად მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

უხალისოდ და უინტერესოდ დაწყებული მატჩი ასევე ჩამთავრდა და საბოლოოდ „ბასკოს" 33-ქულიანი უპირატესობით აღინიშნა — 93:60.

„ბასკოს" გამარჯვებაში ერთმა იუბილარმაც შეიტანა წვლილი. გუშინ ხომ ამროსი ორმოცაძის დაბადების დღე იყო, ის 31 წლის გახდა და საჩუქარიც ჩვეული შერჩა — მოგება.


ბასკოელი ვალერი კილაძე მაკაბელთა აფრიკელების წინააღმდეგ

### მატჩის შემდეგ

**ჯამლეტ ხუხაშვილი, „მაკაბის" მთავარი მწვრთნელი:** „ბასკომ" საკმაოდ ძლიერად ითამაშა. ჩვენ კი პირიქით — არაფერი გამოგვივიდა. მატჩის ბედი საწყის 10 წუთში გადაწყდა. რას იზამ, არის მომენტი, როცა არაფერი აგეწყობა და ასე იყო დღესაც. ისე კი მოგების დიდად არ მეიმედებოდა.

**ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი:** პლეი ოფისთვის ჩვენ განსაკუთრებულად ვემზადებოდით და სხვადასხვა სათამაშო ტაქტიკასაც ვამოწმებდით. ფიზიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით გუნდი კარგად გამოიყურება. სარეზერვო მოთამაშეებიც რიგიანად მეჩვენნენ. ფინალისთვის უფრო კარგად უნდა მოვემზადოთ, იქ ასეთი გასეირნება გამორიცხულია.

## საფრანგეთი

# ლიმოჟი დაბრუნებულია!

XXVIII ტური

**ვილერბანი — პო ორტეზი 75:81, სტრასბური — ლე მანი 78:82, გრაველინი — ბეზანსონი 102:72, შალონი — ევრე 74:66, ნანსი — შოლე 84:78, ლე ავრი — ბურგი 79:83, მონპელიე — ანტიბი 82:77, რასინგი — დიჟონი 80:60**

საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა დღეს პრო A-ს ნაცვლად პრო B-თი გვინდა დავიწყოთ, რადგან იქ ჩემპიონი უკვე გაირკვა. გაისად ელიტაში თამაშის უფლება ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „ლიმოჟმა" მიიღო. საფრანგეთის ჩემპიონებმა „ვიშის" სძლიეს და იქ დაბრუნდნენ, საიდანაც შარშან ფინანსური პრობლემების გამო გააძევეს. არადა, გასულ სეზონში „ლიმოჟმა" ყველა შესაძლო ტურნირი მოიგო — ქვეყნის ჩემპიონატი, საფრანგეთისა და კორაჩის თასები, მაგრამ საფრანგეთის კალათბურთის ჩინოსნებმა მაინც გაწირეს და სუპერლიგის ნაცვლად „ქვედალიგაში" უკრეს თავი.

„ლიმოჟის" არყოფნაში კი „ვილერბანმა" გაილაღა, თუ ამას შეიძლება გალაღება ეწოდოს. ამ ტურში ვილერბანელებმა ოფიციალურად გაინაღდეს რეგულარულ ჩემპიონატში პირველობა და ეს „პო ორტეზთან" წაგების მიუხედავად, რადგან დამარცხდა „სტრასბურიც". ეს ვილერბანელების ზედიზედ მეხუთე მარცხი იყო, ოღონდ ყველა შეჯიბრის გათვალისწინებით.

ახლა „ვილერბანი" უახლოეს სამ მდევარს — „სტრასბურს", „პო ორტეზს" და „ლე მანს", ანუ ბოლო სამ ტურში თავის მძლეველთ სამი ქულით უსწრებს და ვინაიდან ორი ტურიღა დარჩა სათამაშო, პლეი ოფში, ფინალის ჩათვლით (თუ გააღწევს) საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

ახლა რაც შეეხება „ვილერბან" — „პო ორტეზს". ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მასპინძლებმა მატჩი მშვენივრად დაიწყეს და პატარა უპირატესობაც მოიპოვეს. მათ ტაიმი 43:40 მოიგეს და 22-ე წუთზე რვა ქულითაც გაიჭრნენ წინ (48:40), მაგრამ მერე აიჭრნენ, სამწუთიანი მონაკვეთი 0:12 დათმეს და მეტოქე წინაც გაუშვეს (48:52).

ჩემპიონატის ლიდერმა ედვარდს-ბონატოს დუეტის წყალობით დასკვნითი მეოთხედის წინ ისევ შეძლო „პო ორტეზის" გასწრება (63:60), მაგრამ სტუმრები მათმა ესპანელმა ლეგიონერმა ვესტელერმა გადაარჩინა, რომელმაც ამ მეოთხედში 12 ქულას მოუყარა თავი.

ტურის მეორე ცენტრალური მატჩი სტრაზბურში გაიმართა, სადაც „ლე მანი" სტუმრობდა. 5 300 ქომაგის თვალწინ სტრასბურელებმა მეტოქეს დიდი ომი გაუჩაღეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. შეხვედრა „ჯიბის გამთამაშებლების" დუელითაც იყო საინტერესო. შეტევათა განსახორციელებლად ორივე გუნდს მეტად ტანდაბალი კალათბურთელები ჰყავს. ამ დუელში ვერც სტრასბურელმა ჯენინგსმა (20 ქულა) გაიმარჯვა და ვერც მისმა უშუალო მეტოქე როჯერსმა (21 ქულა), ამიტომაც მატჩის ბედი ვინმე სხვას უნდა გადაეწყვიტა. ასეთი ლემანელი კინგი გამოდგა, რომლის 25 ქულაც სტუმართა წარმატებაში მთავარი აღმოჩნდა.

თავიდან სწორედ კინგისა და როჯერსის აქტიურობით სტუმრები დაწინაურდნენ (9:2 მე-3 წუთზე), მაგრამ ალზასელებმა მალე გაათანაბრეს თამაში და აიწონა-დაიწონაც დაიწყო. ხან ერთი გუნდი იყო წინ და ხან მეორე, ბოლო მეოთხედამდე დიდი სხვაობით დაწინაურება კი ვერცერთმა შეძლო. 32-ე წუთზე „ლე მანი" 10 ქულას იგებდა (71:61), თუმცა საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე ჯენინგსმა ანგარიში გაათანაბრა (78:78), აქ კინგმა თქვა თავისი სიტყვა და საბოლოო 4 ქულაც მიითვალა.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე უკვე პლეი ოფის 7 მონაწილეა გარკვეული. საუკეთესო რვა გუნდში მოსახვედრად ახლა მხოლოდ „რასინგი" და „შოლე" იბრძვიან, თუმცა პარიზელებს რომ წარმატების გაცილებით უკეთესი შანსები აქვთ, გათამაშების ცხრილიდანაც ნათლად ჩანს.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 28 | 23 | 5 | 2329:2005 | 51 |
| სტრასბური | 28 | 20 | 8 | 2347:2100 | 48 |
| პო ორტეზი | 28 | 20 | 8 | 2327:2089 | 48 |
| ლე მანი | 28 | 20 | 8 | 2420:2315 | 48 |
| დიჟონი | 28 | 17 | 11 | 2152:2020 | 45 |
| შალონი | 28 | 17 | 11 | 2032:1935 | 45 |
| ნანსი | 28 | 17 | 11 | 2238:2167 | 45 |
| რასინგი | 28 | 15 | 13 | 2162:2105 | 43 |
| შოლე | 28 | 13 | 15 | 2213:2182 | 41 |
| ბურგი | 28 | 12 | 16 | 2156:2251 | 40 |
| ანტიბი | 28 | 11 | 17 | 2218:2222 | 39 |
| გრაველინი | 27 | 12 | 15 | 2280:2302 | 39 |
| მონპელიე | 28 | 9 | 19 | 2214:2413 | 37 |
| ევრე | 28 | 6 | 22 | 2113:2390 | 34 |
| ლე ავრი | 27 | 6 | 21 | 2093:2391 | 33 |
| ბეზანსონი | 28 | 5 | 23 | 1975:2382 | 33 |

## იტალია

### თასის გათამაშება

ფინალი

**კინდერი 83:58 სკავოლინი**

**კინდერი:** გრიფიტი (15), რიგოდო (13), ჯინობილი (15), იარიჩი (9), ფროზინი (2), სმოდიში (14), აბიო (9), ბონორა (2), ანდერსენი (2), ამბრასა

**სკავოლინი:** ბუკერი (8), ჯონსონი (11), ტიგენა (10), მაჯოლი (6), ძანელი (3), მიდლტონი (8), ტუშეკი (8), ტრაინა, მანიფიკო (2), პეჩილე (2)


AFP

ვილერბანი — პო ორტეზი. პეტერ ჰოფმანი (მარჯვნივ) ვილერბანელი ბილ ედვარდსის წინააღმდეგ

## სლოვენია

I-VI ადგილები. XXXI ტური

**კრკა — პივოვარნა 112:91, კრაშკი ზიდარი — ოლიმპია 62:109**

**სლოვანი 105:109 როგლა**

**სლოვანი:** ნოვაკი (13), ლაკოვიჩი (32), ტაკული (7), გრბეშიჩი, **შზრეხელიძე** (11 წუთი, 8 ქულა, 6 მოხსნა), ჯურკოვიჩი (6), კოვაჩი (4), პავიჩი (19), **გორსა** (24 წუთი, 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა), კოკალი, **ცძიტიშვილი** (18 წუთი, 9 ქულა, 4 მოხსნა)

**როგლა:** შპორარი (10), ზარიჩი (11), პერმანი (2), სივკა (13), დუნდოვიჩი (22), ზინრაიში (6), პეტრანოვიჩი (24), სტაროვასნიკი (21)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 31 | 29 | 2 | 3004:2068 | 60 |
| კრკა | 31 | 27 | 4 | 2837:2425 | 56 |
| პივოვარნა | 31 | 19 | 12 | 2751:2702 | 50 |
| სლოვანი | 31 | 18 | 13 | 2602:2527 | 49 |
| როგლა | 31 | 14 | 17 | 2638:2823 | 45 |
| კრაშკი ზიდარი | 31 | 12 | 19 | 2316:2621 | 43 |

## თურქეთი

### თასის გათამაშება

ფინალი

**ეფესი 85:78 ტელეკომი**

**ეფესი:** ოქური (22), მულაომეროვიჩი (20), დრობნიაკი (18), ონანი (7), შჩეპანოვიჩი (7), თუნჩერი (7), ბეშოქი (2), პეკერი (2)

**ტელეკომი:** ერლი (32), იურკოვიჩი (21), რადოშევიჩი (10), უჩოკლარი (9), ერდენი (3), თონი (3), დემირალი

## საბერძნეთი

### თასის გათამაშება

ფინალი

**აეკ 66:64 პანათინაიკოსი**

**აეკ:** ქუთლუაი (22), სტეფანოვი (20), ბუტსი (9), დიკუდისი (6), კაკიუზისი (5), ჰამინკი (2), მიუურსეპი (2), პანტელიადისი, კიკილიასი, ხაძისი

**პანათინაიკოსი:** ბოდიროგა (20), რებრაჩა (12), ალვერტისი (11), კალაიძისი (6), ფოცისი (5), მიდლტონი (4), ბალოიანისი (3), ჯენტილე (2), კოხი (1)

## ესპანეთი

XXXI ტური

**პამესა — რეალი 78:76, ბრეოგანი — ხიხონი 83:94, კანარიასი — უნიკახა 62:80, კოსტაბლანკა — კახა სან ფერნანდო 72:59, ესტუდიანტესი — ხუვენტუდი 90:83, ბარსელონა — ორენსე 97:74, ფორუმი — კასერესი 84:78, ხირონა — ფუენლაბრადა 100:91, ტაუ — კანტაბრია გადაიდო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 31 | 26 | 5 | 2765:2377 | 57 |
| უნიკახა | 31 | 25 | 6 | 2631:2354 | 56 |
| რეალი | 31 | 25 | 6 | 2528:2261 | 56 |
| ტაუ | 30 | 24 | 6 | 2554:2158 | 54 |
| პამესა | 31 | 20 | 11 | 2526:2390 | 51 |
| ფუენლაბრადა | 31 | 18 | 13 | 2502:2434 | 49 |
| ესტუდიანტესი | 31 | 18 | 13 | 2506:2458 | 49 |
| ფორუმი | 31 | 16 | 15 | 2533:2513 | 47 |
| ხირონა | 31 | 15 | 16 | 2482:2519 | 46 |
| კასერესი | 31 | 13 | 18 | 2408:2478 | 44 |
| სან ფერნანდო | 31 | 12 | 19 | 2360:2416 | 43 |
| ბრეოგანი | 31 | 11 | 20 | 2432:2507 | 42 |
| კანარიასი | 31 | 11 | 20 | 2348:2556 | 42 |
| ხუვენტუდი | 31 | 10 | 21 | 2471:2580 | 41 |
| ხიხონი | 31 | 10 | 21 | 2390:2560 | 41 |
| კანტაბრია | 30 | 9 | 21 | 2219:2573 | 39 |
| კოსტაბლანკა | 31 | 8 | 23 | 2301:2577 | 39 |
| ორენსე | 31 | 7 | 24 | 2361:2609 | 38 |

**NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)**




REUTERS

მინესოტა — სან ანტონიო. ტიმ დანკანმა მინესოტელებს ჩაუტენა

# კოშკმა მგლები დაიტანა

**დასავლეთი**

30 აპრილი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 3 |
| მინესოტა | 1 |

**მინესოტა 84:97 სან ანტონიო**

**მინესოტა: შჩერბიაკი (20), გარნეტი (19 ქულა, 15 მოხსნა), ბრენდონი (17)**
**სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (21 ქულა, 14 მოხსნა), ფერი (16), დანიელსი (16)**

თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ბევრს არ ეეჭვებოდა, რომ „მინესოტა ტიმბერვულვზი“ პლეი ოფში მოხვდებოდა, ხოლო როდესაც ასეც მოხდა და ამ გუნდმა დასავლეთის რვა რჩეულს შორის „კუთვნილი“ ადგილი მოიპოვა, საკალათბურთო სამყაროს ოკეანგაღმა ნაწილმა ერთსულოვნად იწინასწარმეტყველა „მგლების“ საპლეიოფო ვოიაჟის ტრადიციული დასასრული. „მინესოტა“ ზედიზედ მეხუთედ გავიდა პლეი ოფში და ზედიზედ მეხუთედვე პირველივე ეტაპიდან გავარდა. „მგლებს“ წლეულს ამ ერთფეროვნების დარღვევის არცთუ დიდი შანსი ჰქონდათ, მათი მეტოქე, „სან ანტონიო“ გაცილებით ძლიერი გუნდია და ჩემპიონობასაც ეპოტინება. სხვათა შორის, „ტიმბერვულვზი“ ბოლო სამ წელიწადში მეორედ შეიქნა სანანტონიოელი „დეზების“ წერა — 1999 წელსაც 1:3 წააგო სერია „სფურზთან“, რომელმაც მერე გზად დანარჩენებსაც მოუგო და ჩემპიონიც გახდა.

„სან ანტონიო“ ახლაც საჩემპიონო გვირგვინისთვის ილერებს თავს და აბა, „მგლების“ როგორ შეეშინდებოდა, თუმც მინეაპოლისში სერიის მესამე შეხვედრაში დამარცხების შემდეგ იკადრა და მეტოქეს მეტი პატივისცემით შეხედა. თავის მხრივ, მასპინძლებსაც გაუღვივა რწმენა მძლავრი მეტოქის წაქცევამ და მათ კვლავაც იგივე დაისახეს მიზნად.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში დაიწყო და პირველი ტაიმი ისე გასრულდა, ვერავინ იტყოდა, რომელიმე გუნდი უცილობლად იმარჯვებსო. „მინესოტამ“ ასე თუ ისე საიმედო მეურვეობა გაუწია „სფურზის“ „წყვილ კოშკად“ წოდებულ ტიმ დანკან — დევიდ რობინსონის დუეტს. კევინ გარნეტი დანკანს დაუდგა, მას მუდმივად ვინმე ეხმარებოდა და მიუხედავად იმისა, რომ სანანტონიოელმა არცთუ მცირე ოდენობით მოიხვეჭა ქულები, 23 სროლიდან სულ რვა ჩააგდო, რამაც მასპინძლებს სწრაფი პირველი შეტევების განვითარების საშუალება მისცა. დევიდ რობინსონი კი ხშირად ჯარიმდებოდა და თავისიანები გვარიანადაც შეაშფოთა, როდესაც მესამე მეოთხედის დასაწყისში მეოთხე პერსონალური მიიღო. „ადმირალი“ დასვენეს და „მინესოტასაც“ დაწინაურების იმედი მიეცა, თუმც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მასპინძლებს ქარიშხალი იქიდან დაატყდათ, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. დენი ფერის და ანტონიო დანიელსს სერიის არც ერთ თამაშში არ მოეგროვებინათ თუნდაც ათი ქულა. ახლა კი შორი მანძილიდან ოთხ-ოთხჯერ ივარგეს და 16-16 ქულასაც მოუყარეს თავი. ამ სამქულიანთა მეტი წილი „მინესოტამ“ საკუთარ კალათში მეორე ნახევარში მიიღო და ათი ქულითაც ჩამორჩა მეტოქეს, რაც „სან ანტონიოსთან“, ფაქტობრივად, წაგებას ნიშნავს. მასპინძლებმა ბოლოს მეოთხე მეოთხედის შუაწელსლა გაიბრძოლეს, როდესაც მათმა დაბლებმა — ტერელ ბრენდონმა და ენტონი პილერმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდეს და სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანეს — 73:75, მაგრამ დარჩენილ დროში ხეირიანი ვერაფერი გააკეთეს და პლეი ოფსაც ხელი დაუქნიეს.

ახლა „სფურზს“ შეუძლია დამშვიდებით დაელოდოს მომავალ მეტოქეს, რომელიც შესაძლოა თანაშტატელი „დალასი“, უფრო კი წლების განმავლობაში მოსისხლე „იუტა“ იყოს. „ვის შევხვდებით, ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბევრისთვის გადამწყვეტია, თუ ვინ იქნება მისი მოწინააღმდეგე, მაგრამ არა ჩვენთვის“ — ამბობს „სან ანტონიოს“ ლიდერი ტიმ დანკანი, თუმცა ბოლომდე გულწრფელი არ უნდა იყოს. მას ხომ სურს, კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ ბევრად სჯობს „იუტა ჯაზის“ მხცოვან თავდამსხმელ კარლ მელოუნს.

**ირაკლი ფირცხილი**

**ზე-12. მეათე ტური**

# ხარების ლურჯი სიხარული

**ველინგტონი 42:17 სიდნეი**
**ველინგტონი: 4 ლ: ლილი (2), ოჰალორანი, კალენი; 2 გ: ჰოლუელი; 6 ს: ჰოლუელი (5), ლილი**
**სიდნეი: 2 ლ: ინმენი (2); 2 გ: ბერკი, პეინი; 1 ს: ბერკი**

**კრაისტჩერჩი 34:24 დურბანი**
**კრაისტჩერჩი: 4 ლ: რალფი, მაუგერი, სომერვილი, ჰიუეტი; 1 გ: მაუგერი; 4 ს: მაუგერი, ბლეირი (3)**
**დურბანი: 3 ლ: კეიზერი (2), ბილიონი; 3 გ. და 1 ს: ჯეიმსი**

**ბრისბენი 22:16 იოჰანესბურგი**
**ბრისბენი: 1 ლ: ფლეტლი; 1 გ. და 5 ს: ფლეტლი**
**იოჰანესბურგი: 1 ლ: ა. ფენტერი; 1 გ. და 3 ს: კოენი**

**კეიპტაუნი 29:15 ჰამილტონი**
**კეიპტაუნი: 4 ლ: როსოუ (2), ჰოლსე, კრიხე 3 გ. და 1 ს: ფან სტრაატენი**
**ჰამილტონი: 2 ლ: უილისი, გიბსი; 1 გ: ჰილი; 1 ს: ჯექსონი**

**პრეტორია 28:25 ოკლენდი**
**პრეტორია: 3 ლ: ვესელსი, ნელი, ჯეკობსი; 2 გ. და 3 ს: სტეინი**
**ოკლენდი: 1 ლ: რაში; 1 გ. და 6 ს: ოლრიჯი**

*კანბერა და დანიდინი ისვენებდნენ*

ლიდერებმა, სამხრეთაფრიკულმა დურბანმა და იოჰანესბურგმა წააგეს და ნახევარფინალის საგზურები ჯერ კიდევ ვერ მოიპოვეს. თუმცა ეს მხოლოდ თეორიულად, თორემ პრაქტიკულად „ზვიგენებსაც“ და „კატებსაც“ კარგა ხანია დაბევებული აქვთ ადგილი საუკეთესო ოთხეულში. მათი მომდევნო წყვილი ამ უქმეებზე ისვენებდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი გადასწრება ვერავინ შეძლო. თუმცა დანიდინს მეტოქეთა სუნთქვა უკვე უნდა გარკვევით ესმოდეს. „მთიელებისთვის“ გადამწყვეტი მატჩი მომავალ ტურში გაიმართება, როცა დანიდინელები ბრისბენელ „წითლებს“ ესტუმრებიან. იმავე ტურში ველინგტონი ჰამილტონს უმასპინძლებს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ერთი გუნდიც გამოაკლდება, ხოლო თუ ფრედ დამთავრდა ის შეხვედრა, ორივე გუნდს ეწყინება, სიხარულით კი სხვები გაიხარებენ. ამ სხვებში სიდნეი — კრაისტჩერჩის მატჩის გამარჯვებულიც იქნება, ხოლო თუ იქაც ფრე დაფიქსირდა...

სანამ გასული უქმეების თამაშებზე მოგითხრობთ, ერთი-ორ ზეთორმეტეულ ახალ ამბავს გაგაცნობთ. როგორც იცით, ყველაზე ნაკლები გუნდით ტურნირში ავსტრალიაა წარმოდგენილი. ამის გამოსასწორებლად მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანა დიდი ხანია იბრძვის და რამდენიმე ხნის წინ მიაღწია კიდევაც საწადელს, ანუ რამდენიმე წელიწადში ზე-12-ში ავსტრალიას ოთხი გუნდი ეყოლება და შესაბამისად, შეჯიბრსაც სახელი გადაერქმევა. ზე-13-ის ახალი გუნდი ავსტრალიელ მორაგბეთა ევროპასა და იაპონიაში მიგრაციას შეუშლის ხელს და იგი ან მელბურნში ანდაც პერთში დაფუძნდება. ამ დღეებში კი გაცხადდა, რომ ამ „მეცამეტე გოჭის“ მთავარი მწვრთნელი „ვოლაბების“ ამჟამინდელი თავკაცი როდ მაკქუინი იქნება, რომელიც ავსტრალიის ნაკრებს ბოლოს წლევანდელ „სამ ერზე“ უხელმძღვანელებს.

დასვენებული კანბერას გარე ნახევარმცველი როდ კაფერი, რომელიც შუამარბადაც მშვენივრად გრძნობს თავს, შეიძლება მომავალი სეზონიდან ინგლისში გადაბარგდეს. „ვოლაბისთვის“ თვალი დაუდგამს ევროპის თასის ფინალში გასული „ლესტერის“ გენერალურ მენეჯერ დინ რიჩარდსს, ვისაც „გლოსტერის“ ოზის, ჯეისონ ლითლის გადაბირება სურდა, მაგრამ „ბრისტოლმა“ დაასწრო. ფრანგული „სტად ფრანსეს“ მორკინალი ნორიეგა კი სამშობლოში დაბრუნებას და სიდნეიში თამაშს ლამობს, რადგან პარიზული გუნდის ძირითადში ადგილი ვერაფრით დაუმკვიდრებია.

ტურნირი სიდნეიმ მშვენივრად დაიწყო და ერთხანს ლიდერიც იყო, მაგრამ ახლა ბობ დვაიერის ბიჭები ფორმიდან ამოვარდნილან და თამაშს თამაშზე აგებენ. მისგან განსხვავებით, ველინგტონი შეჯიბრის მეორე ნაწილში მოვიდა თამაშის იშტაზე და ყველა მეტოქეს ბღლვირს ადენს. ასე მოხდა ამჯერადაც. მასპინძლებმა თავიანთი „ოცნების სამმეოთხედელებით“ გაანადგურეს ავსტრალიელები და ნახევარფინალში გასვლის მშვენიერი შანსიც გაიჩინეს. ახალი ზელანდიის ნაკრების უკანახაზელებმა ჯონა ლომუმ, ტანა უმაგამ, კრისტიან კალენმა და სხვებმა მოწინააღმდეგეს თავიდან ცოტა აცალეს და ტაიმიც კი დათმეს, მაგრამ მერე იძალეს და კალენის მეოთხე ლელოთი ჰაერივით საჭირო პრემიალური ქულაც მიითვალეს. თუმცა მათი სიხარული ოდნავ გააქარწყლა უმაგას ტრავმამ. მას თავში მოხვდა და ტვინის შერყევა მიიღო იოლ ფორმებში. ექიმების თქმით, უმაგას მწყობრში ჩადგომას კვირაზე ნაკლები დრო დასჭირდება და იგი შემდეგ ტურშივე შეძლებს თამაშს.

ბოლო სამი ზე-12-ის ჩემპიონმა კრაისტჩერჩმა ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ გამარჯვების გემო გაიხსენა და ლიდერი დურბანი გააწბილა. თანაც მას სამ ლელოზე მეტი არ გაატანინა, 10 ქულით გაასწრო და ავსტრალია-ახალზელანდიური ტურნე უქულო მატჩით დაასრულებინა. თუმცა „ზვიგენები“ ამ ტურნეს შედეგით უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ, რადგან ხუთიდან ორ შეხვედრაში შეძლეს გამარჯვება და პირველობაც შეინარჩუნეს, თუმცა ერთი მატჩით მეტი კი აქვთ გამართული.

სამხრეთაფრიკელებმა ამჯერადაც კარგად ითამაშეს და საწყის ათ წუთში მეტოქეს 10 ქულითაც გაუსწრეს, რითაც „ჯვაროსანთა“ ფანების რისხვა გამოიწვიეს, რომელიც მასპინძელთა მთავარი მწვრთნელისკენ იყო მიმართული. რისხვის მიზეზი კი ძირითადში ლეგენდარული ენდრიუ მერთენსის არდაყენება იყო. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ეს შეცდომა სულაც არ ყოფილა, რადგან კრაისტჩერჩის უკანახაზელებმა უმერთენსოდაც ბრწყინვალედ ითამაშეს და მატჩის ბედის შემობრუნებაც შეძლეს.

ბრისბენს დაუბრუნდა „ვოლაბების“ კაპიტანი ჯონ ილზი, ოღონდ იოჰანესბურგთან გამარჯვება სულ სხვა კაცის დამსახურებაა. მასპინძელთა გარე ნახევარმცველი ელტონ ფლეტლი შეუდარებელი იყო, თავისი გუნდის ყველა ქულა თავად მოიპოვა და ოზთა ნაკრების მესვეურები დაამშვიდა — სტივენ ლარკემს სათანადო შემცვლელი ვყავარო. „კატები“ კი პრემიალური ქულითაც ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ. მომდევნო ტურში ისინი ისვენებენ, ბოლოში კი მაჩანჩალა პრეტორიას უმასპინძლებენ და ნახევარფინალი მათ გარეშე წარმოუდგენელია.



ბრისბენი — იოჰანესბურგი. ბურთითაა იოჰანესბურგელთა მძლეველი ელტონ ფლეტლი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დურბანი | 10 | 7 | 0 | 3 | 4 | 2 | 299:227 | 34 |
| იოჰანესბურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 2 | 3 | 266:223 | 33 |
| კანბერა | 9 | 6 | 0 | 3 | 4 | 2 | 264:191 | 30 |
| დანიდინი | 9 | 5 | 0 | 4 | 3 | 2 | 236:241 | 25 |
| ველინგტონი | 9 | 5 | 0 | 4 | 3 | 1 | 247:229 | 24 |
| ბრისბენი | 9 | 4 | 0 | 5 | 4 | 4 | 242:235 | 24 |
| ჰამილტონი | 9 | 5 | 0 | 4 | 3 | 0 | 244:254 | 23 |
| კრაისტჩერჩი | 9 | 4 | 0 | 5 | 2 | 3 | 264:280 | 21 |
| სიდნეი | 9 | 4 | 0 | 5 | 3 | 1 | 261:255 | 20 |
| კეიპტაუნი | 9 | 4 | 0 | 5 | 2 | 2 | 225:239 | 20 |
| ოკლენდი | 9 | 3 | 0 | 6 | 2 | 2 | 200:246 | 16 |
| პრეტორია | 9 | 1 | 0 | 8 | 2 | 1 | 197:325 | 7 |

*მოგებისთვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისთვის — 2, წაგებისთვის კი არცერთი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.*

კეიპტაუნმა კი მოიგო, მაგრამ მეათე ადგილს მაინც ვერ ასცდა. მატჩი ბოლომდე ძალიან დაძაბული იყო და კვანძი მხოლოდ პიტერ როსოუს მეოთხე ლელომ გახსნა. საერთოდ როსოუმ და ბრეიტონ ჰოლსემ ერთობ დატანჯეს სტუმრები ბურთის მათ ზურგსუკან გადაკიდებებით და ჯვარედინი დრიბლინგებით, მაგრამ მატჩის გმირი მაინც აფრიკელთა კაპიტანი კორნე კრიხე იყო, რომელიც თითქმის ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

როგორც იქნა, მოიგო პრეტორიამ. „ხარებმა“ ზე-12-ის ორგზის ჩემპიონ ოკლენდელ „ლურჯებთან“ გაიხარეს. არადა, ახალზელანდიელები კარგა ხანს ლიდერობდნენ და მხოლოდ მსაჯის მიერ წამატებულ დროში ადრიან ჯეკობსის მიერ გატანილი ლელოთი დამარცხდნენ.

**გაგი გურული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 006 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 007 | პრესტონი-ბლექბერნი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 011 | როვერსი-უიკომბი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 012 | ბრენტფორდი-ლუთონი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 013 | ნოთსი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 014 | პორტვეილი-უოლსოლი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 020 | ლინკოლნი-კარლაილი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 021 | ჰალიფაქსი-ბრაიტონი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.45 | 022 | საუთენდი-მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

### იტალია. სერია "ბ". გადადებული მატჩი

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 023 | ტრევიზო-ემპოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

### ჰოლანდია. 1-ლი დივიზიონი. გადადებული მატჩები

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 024 | ჰერენვენი-უტრეხტი | 1,95 | 3,2 | 3,3 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 025 | ვალვაიკი-აიაქსი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

### პოლონეთი. 23-ე ტური

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 027 | გროცლინი-გურნიკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 028 | პიძევი-ამიცა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 029 | რაძიონკოვი-პოგონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.00 | 030 | ზაგლებე-ოდრა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 031 | ვისლა-სტომილი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 032 | რუხი-შლიონსკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.30 | 033 | პლოცკი-კატოვიცე | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 21.00 | 034 | ლეგია-პოლონია | 1,75 | 3,2 | 4,0 |

### ავსტრია. 32-ე ტური

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 038 | ლინცერი-ადმირა | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 039 | შტურმი-ზალცბურგი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### ნორვეგია. მე-4 ტური

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 047 | ბრინი-ვიკინგი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| 22.00 | 048 | ლინი-ბოდო გლიმტი | 2,0 | 3,4 | 3,1 |
| 22.00 | 049 | მოსი-რუსენბორგი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 22.00 | 050 | ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 22.00 | 051 | სოგნდალი-სტაბეკი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 22.00 | 052 | სტრომგოდსეტი-ბრანი | 2,9 | 3,4 | 2,1 |
| 22.00 | 053 | ტრომსიო-მოლდე | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ფინეთი. მე-3 ტური

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 054 | ატლანტისი-ჰაკა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.30 | 055 | კუოპიო-იოკერიტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.30 | 056 | ლაჰტი-ინტერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.30 | 057 | მიუპა-როვანიემი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.30 | 058 | ტამპერე-ჯაზი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 20.30 | 059 | ვაასა-ჰიკ | 3,3 | 3,3 | 1,95 |

### ჩეხეთი. თასის 1/2 ფინალი

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 061 | სპარტა-ბლშანი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### შვეიცარია. თასის 1/2 ფინალი

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 062 | ლოზანა-ივერდონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.15 | 063 | სერვეტი-სენტ გალენი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### დანია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 064 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 065 | მიდტიულანდი-სილკებორგი | 2,2 | | |

### შვედეთი. თასის 1/4 ფინალი

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 066 | იორგრიტე-ელფსბორგი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.00 | 067 | აიკ-ტრელებორგი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩები

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 502 | ლიდსი-ვალენსია | 1,95 | 3,0 | 3,6 |

### ლიბერტადორესის თასი

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 505 | ტაჩირა-ამერიკა | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 04.00 | 506 | პენიაროლი-ვასკუ და გამა | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 05.10 | 507 | დეპორტივო-ბოკა ხუნიორსი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 05.10 | 508 | ორიენტე-კობრელოა | 3,2 | 1,8 | 1,8 |
| 05.40 | 509 | უნივერსიდადი-სპორტ ბოიზი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 05.40 | 510 | პალმეირასი-სერო პორტენო | 1,5 | 3,4 | 6,5 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 511 | კონსეპსიონი-უილსტერმენი | 1,9 | 3,4 | 3,3 |
| 04.00 | 512 | სან ლორენსო-ნასიონალი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 06.10 | 513 | გუარანი-რივერ პლეიტი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 06.10 | 514 | სთრონგესტი-ელ ნასიონალი | 2,8 | 1,8 | 2,0 |

### ჩემპიონთა ლიგა. I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 მაისი | | | | | | | | | | |
| 602 | ლიდსი-ვალენსია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4.7 | 6,5 | 18,0 | 10,0 | 5,6 |

### ჩემპიონთა ლიგა. ფინალში გასვლა

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 702 | ლიდსი | 1,75 | ვალენსია | 1,65 |

### კალათბურთი. 1/8 ფინალი

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 803 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 804 | ინდიანა-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 805 | ფინიქსი-სან ანტონიო | 1,55 | 12,0 | 1.9 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 806 | იუტა-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. ფინალი. III და IV მატჩი

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 808 | ტაუ-კინდერი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ჰოკეი. 1/4 ფინალი

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 903 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 07.00 | 904 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

3 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 905 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 04.30 | 906 | სენტ ლუისი-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანიაში)

2 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 910 | გერმანია-ბელარუსი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 19.00 | 911 | უკრაინა-ლატვია | 1,0 | 1.0 | 1.0 |
| 19.00 | 912 | იაპონია-ავსტრია | 4,0 | 5,3 | 1,3 |
| 23.00 | 913 | კანადა-რუსეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 914 | შვედეთი-აშშ | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 23.00 | 915 | ფინეთი-სლოვაკეთი | 1,4 | 4,2 | 3.8 |

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჩემპიონი

2 მაისი

| | | |
|---|---|---|
| 951 | ფინეთი | -3,0 |
| 952 | ჩეხეთი | -3,0 |
| 953 | შვედეთი | -3,0 |
| 954 | კანადა | -3,5 |
| 955 | რუსეთი | -5,0 |
| 956 | აშშ | -10,0 |
| 957 | სლოვაკეთი | -15,0 |
| 958 | ლატვია | -30,0 |
| 959 | შვეიცარია | -75,0 |
| 960 | გერმანია | -30,0 |
| 961 | ბელარუსი | -100,0 |
| 962 | ავსტრია | -200,0 |
| 963 | უკრაინა | -200,0 |
| 964 | ნორვეგია | -300,0 |
| 965 | იტალია | -500,0 |
| 966 | იაპონია | -1000,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ბარსელონას მეფობა დასრულდა

ძველ საუკუნესთან ერთად გასრულდა ევროპაში საუკეთესო ვაჟ ხელბურთელთა კლუბის, „ბარსელონას" ბატონობის ხანა. 1993 წლიდან მოყოლებული, კატალონიური კლუბი მუდამ მწვერვალზე იმყოფებოდა — ხუთჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, ხოლო ორჯერ თასების მფლობელთა თასსაც დაეპატრონა.

„ბარსას" მონოპოლიას წყალი გასულ შემოდგომაზე შეუდგა, როცა ოქტომბრის ბოლო ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში მეორე ესპანურ გრანდ „პორტლენდ სან ანტონიოსთან" დამარცხდა — 24:28. კონტინენტის საკლუბო ტახტის მოცილეთა დავაში პამპლონელთა მაშინდელი წარმატება შემთხვევითი რომ არ ყოფილა, ლიგის ფინალმაც დაადასტურა. „პორტლენდმა" საკუთარ მოედანზე სტუმართა სანაქებო დაცვა ადვილად გაარღვია და ექვსბურთიანი მარაგით (30:24) ბარსელონაში განმეორებით შეხვედრაზე გულდამშვიდებული გაემგზავრა.

კატალონიის დედაქალაქში მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია — „გრანა პალასს" 9 000 გულშემატკივარი მიაწყდა. ამხელა არმიის მხარდაჭერით გამხნევებულმა მასპინძლებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ტაიმი იმედისმომცემი სხვაობით (15:12) მოიგეს. მაგრამ შესვენების შემდეგ მეტოქემ მათ უპირატესობის გაზრდის საშუალება არ მისცა და თამაშიც იმავე სამბურთიანი სხვაობით (25:22) დასრულდა. ამრიგად, „ბარსელონამ" მხოლოდ სანახევრო რევანში აიღო და ლიგაში პირველობას გამოემშვიდობა. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე 8 გოლით პამპლონელთა ბელარუსი თავდამსხმელი, 33 წლის მიხაილ იაკიმოვიჩი იყო. „ბარსას" ყველაზე ტანმაღალმა ფორვარდმა, 20 წლის უნგრელმა ლასლო ნადიმ ერთით ნაკლები გაიტანა.

„პორტლენდ სან ანტონიო" შარშანდელი თასების მფლობელთა თასის გამარჯვებულია, ჩემპიონთა თასი კი პირველად დაისაკუთრა. ლიგის ყველაზე ხნიერი კლუბის (მოთამაშეთა საშუალო ასაკი 32,5 წელია) შემადგენლობაში იაკიმოვიჩის გარდა კიდევ სამი უცხოელია — 41 წლის რუმინელი მეკარე ალექსანდრუ ბულიგანი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, შავკანიანი ფრანგი ჯექსონ რიჩარდსონი (31) და რუსი ოლეგ კისილიოვი (34). ძირითადში თამაშობენ აგრეთვე ხოსე ხავიერ ომბრადოსი (29), ფერნანდო ბარბეიტო (32), მატეო გარალდა (31), ამბროსიო მარტინი (33), ალბერტო მარტინი (31), ოსკარ მაინერი (32), ხავიერ ერეკონდო (36) და ხესუს ოლალა (29). გუნდის მთავარი მწვრთნელია ხავიერ ფრანსისკო ეკუისკაინი.

აქვე ევროპის სხვა საკლუბო ტურნირების გამარჯვებულთაც აღვნიშნავთ: გერმანიის „ფლენსბურგი" (თასების მფლობელთა თასი) და „მაგდებურგი" (ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასი), შვეიცარიის „ვინტერტური" (ჩელენჯ კაპი).

**გია ახალაძე**

ავტორბოლა

# კარტი ტეხასიდან აიბარგა

CART

ოკეანის გაღმა, ტეხასის შტატის ქალაქ ფორტ უორტის ავტოდრომზე მომხდარი ორი ავარიის გამო „კარტის" სერიის მორიგი ეტაპი გაუქმდა. იქაურ 2,5 კმ სიგრძის ოვალზე ორი კატასტროფა მოხდა, რის შედეგადაც მძიმედ დაშავდნენ ბრაზილიელი პილოტები — მაურისიო გუჯელმინი და კრისტიანო და მატა.

ამის გათვალისწინებით, შეჯიბრების დირექტორატმა, ცხადია, გუნდების ხელმძღვანელობასთან და თავად მრბოლებთან შეთანხმებით, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ტეხასის 600-მილიანი მარათონი სულაც აკრძალა. ამრიგად, „კარტის" წლევანდელ კალენდარში 20 ეტაპი დარჩა.

მიზეზი მხოლოდ ავარიები არ გახლავთ. „ტეხას მოტორ სპიდვეი", არა მარტო აშშ-ში, მსოფლიოშიც ერთ-ერთი უსწრაფესია, სადაც მანქანები ზღვრულ სიჩქარეებს ავითარებენ, ამიტომ აუტანელ სიცხესთან ერთად ეს მძღოლთა სიცოცხლეს აშკარა საფრთხეს უქმნის. აკი ამიტომაც ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას ზოგმა საჭესთან კინაღამ გონებაც დაკარგა, ბევრნი კი რამდენიმე წრის გავლის შემდეგ თავბრუსხვევასა და გულისრევის შეგრძნებას უჩიოდნენ.

ერთი სიტყვით, „ჩემპკარის" სერიის მესამე ეტაპი არ შედგა, მომდევნო კი 6 მაისს ნაზარეთში (აშშ) გაიმართება.




„ჩემპკარებმა" ფორტ უორტი უბრძოლველად დატოვეს

ბალახის ჰოკეი

# ჰოკეი ჩოხატაურშიც ავიდა

ამასწინათ ჩოხატაურის ცენტრალურ სტადიონზე მოქალაქეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის, საკრებულოს, რაიონული განათლების განყოფილების, სპორტკომიტეტის, საქართველოს ჰოკეის ასოციაციის თაოსნობით ბალახის ჰოკეისტ გოგონათა ტურნირი გაიმართა და ეს შეჯიბრება 1989 წლის 9 აპრილს თბილისში რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლის, ნატო გიორგაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ტურნირში ასპარეზობდნენ ჩოხატაურის, ქუთაისის და წყალტუბოს გუნდები. ორგანიზატორები მეოთხე მონაწილესაც მოელოდნენ, მაგრამ აჭარის წარმომადგენლები უსახსრობის გამო დააკლდნენ ღონისძიებას.

წილისყრის შედეგად გადაწყდა, რომ პირველ დღეს ერთმანეთს ჩოხატაურელი და წყალტუბოელი გოგონები გაეჯიბრებოდნენ, ხოლო მათ შორის გამარჯვებული ქუთაისელებთან შეხვედრაში გამოავლენდა ნატო გიორგაძის სახელობის თასის მფლობელს.

აღსანიშნავია, რომ ორივე თამაშს უამრავი მაყურებელი დაესწრო, რომელთა შორის ლამის სრული შემადგენლობით გურიის სამხარეო ადმინისტრაციის და ჩოხატაურის გამგეობის წარმომადგენლებიც იყვნენ.

ჩოხატაურელმა გოგონებმა წყალტუბოელებთან შედარებით იოლად გაიმარჯვეს. მარინე სიხარულიძის სამ გოლს სტუმრებმა შეხვედრის მიწურულში ერთითლა (ნანა ჩაკვეტაძე) უპასუხეს.

გადამწყვეტი დაძაბული პაექრობის პირველი ნახევარი უშედეგოდ დასრულდა. მეორე ტაიმში ჩოხატაურელმა გოგონებმა მაყურებელთა მხურვალე მხარდაჭერით მძლავრად შეუტიეს ქუთაისელებს და ჯულიეტა გიორგაძემ ორჯერ აიღო მეტოქის კარი. 2:0 — ასეთი ანგარიშით იმარჯვეს ტურნირის მასპინძლებმა (მწვრთნელი ზურაბ ახალაძე) და მთავარ ჯილდოს დაეუფლნენ.

ორგანიზატორებს მრავალი პრიზები ჰქონდათ დაწესებული, რომლებიც გადაეცათ: საუკეთესო მოთამაშისა — ირმა ძნელაძეს (ჩოხატაური), საუკეთესო მეკარის — კლავდია ხეჩიკოვას (ქუთაისი), საუკეთესო მცველის - ირმა კისკიძეს (ქუთაისი), ბომბარდირის — მარინე სიხარულიძეს, ფინალური მატჩის გმირის — ჯულიეტა გიორგაძეს, ყველაზე ელეგანტური მონაწილის — ლარისა სლობოდინას (ქუთაისი), ყველაზე ნორჩი მონაწილის — ნანა სოხაძეს (ქუთაისი). სპეციალური პრიზებით დასაჩუქრდნენ დები ჩაკვეტაძეები, რომლებიც ერთბაშად ოთხნი იყვნენ წარმოდგენილნი წყალტუბოს გუნდში.

საერთო აღიარებით, ტურნირი მაღალ დონეზე, საინტერესოდ ჩატარდა და გადაწყდა კიდეც, რომ ასეთი შეჯიბრებები ჩოხატაურში ყოველწლიურად მოეწყობა.

ოლიმპიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთ რგოლში

# მანჭვა-გრეხვა ამერიკულად

ყველა ამერიკელმა სპორტსმენმა, ვინც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება, დამატებით სპეციალური სავარჯიშო გაკვეთილები უნდა გაიაროს. აშშ-ს ეოკ-ის წარმომადგენლებს, კერძოდ მათ პრეზიდენტს, სანდრა ბოლდუინს სურს, რომ ამერიკელები საპატიო კვარცხლბეკზე ასვლის შემთხვევაში ჩემპიონის საკადრისად მოიქცნენ. ამ საქმეში საკონსულტაციოდ იგი არ გამორიცხავს განვლილი ოლიმპიადების მედალოსანთა მოწვევას, რომლებიც ყველაზე უკეთ შეძლებენ ახალბედა ჩემპიონთა თუ პრიზიორთა შესაბამისად ჭკუის დარიგებას. ბოლდუინის თქმით, დაუშვებელია, რომ სპორტსმენმა მისთვის და ქვეყნისთვის ღირსახსოვარ დროს „წმინდა წუთი შეურაცხჰყოს". ამასთან, აშშ-ს ეოკ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მაიკ მორანმა ყველას შეახსენა, რომ სწორედ ასეთ წუთებზეა დამოკიდებული ათლეტის როგორც საუკუნოდ სახელის მოხვეჭა, ისე სირცხვილიო.

ერთი შეხედვით დიდად საფილოსოფოსო საქმე არ არის მოპოვებული მედლის მიღება. ამ დროს კაცს ყველაფერს გული კარნახობს. ერთნი სიხარულით ტირიან, მეორენი ხელს გულზე იდებენ და ჰიმნს ხმას აყოლებენ, მესამენი ცქმუტავენ... ამ დროს ყველაფერი მართლაც ბუნებრივად ამაღელვებლად ჩანს. თუმცა, ამერიკელებმა სიდნეის ოლიმპიადაზე ამ სფეროში „ახალი სიტყვა" თქვეს. საუბარია 4X100 მეტრზე მორბენალ ვაჟთა გამარჯვებულ კვარტეტზე. საპატიო წრის შემოვლისას მისი წევრები იღებდნენ თვითკმაყოფილ და ქედმაღლურ პოზებს, დემონსტრაციულად ჭიმავდნენ კუნთებს, ორმა მათგანმა კი მაისურა შემოიძრო და მის ნაცვლად დროშა შემოიხვია. ამ დროს ტრიბუნები აღშფოთებული შეძახილებისგან გუგუნებდნენ.

ამერიკელთა საქციელით კმაყოფილნი არც მათი თანამემამულეები ჩანდნენ. მანჭვა-გრეხვა დაჯილდოების ცერემონიალზეც გაგრძელდა. მაშინაც, როცა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი იმ ოთხეულს მედლებს გადასცემდა, ჩემპიონები ისევ იგრიხებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, მორის გრინმა კი ტელე და ფოტო კამერებს ენა გამოუყო. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მოგვიანებით ყველამ ბოდიში მოიხადა.

სხვათა შორის, ჯონ დრამონდმა თავი იმით იმართლა, რომ აქამდე ოლიმპიური „ოქრო" არ მოეპოვებია და ემოციები ამიტომაც ველარ მოვთოკეო.

ამგვარი სცენების თავიდან ასაცილებლად აშშ-ს ეოკ-ს შესაბამისი ინსტრუქტაჟის დანერგვა სურს. მას იდეაში აქვს მომავალ ოლიმპიელებს პროფილაქტიკის მიზნით თავგამოჩენილ ოთხეულთა ფინალური გამოსვლის ვიდეო ჩანაწერი უჩვენონ. გარდა ამისა, ოლიმპიური ეთიკის კურსების პროგრამაში სურთ ღირსეულად წაგების გაკვეთილების შეტანაც. ამ მხრივ აშშ-ს საკმაოდ მდიდარი და მწარე გამოცდილება აქვს. კერძოდ, ნაგანოს 1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელთა ჰოკეისტებმა ჩეხებთან დამარცხების შემდეგ სასტუმროს ავეჯი ნაფოტებად აქციეს.

# გერმანია საბრძოლველად თავის ჯილას არჩევს

გერმანიის ოლიმპიურ კომიტეტში ნოემბერს დიდი მოლოდინით შეჰყურებენ და იმედოვნებენ, [illegible] სწორედ მაშინ გაირკვევა, თუ სად და როდის წამოაყენონ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატი ქალაქი.

გერმანიის ეოკ-ის პრეზიდენტის ვალერი ტროგერის თქმით, ეს დამოკიდებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოსკოვის 13 ივლისის სესიაზე.

მოგეხსენებათ, 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებს პარიზი, პეკინი, ტორონტო, ოსაკა და სტამბოლი. თუ ამ ხუთეულიდან 2008 წლის მასპინძლად სოკ-მა პარიზი ან სტამბოლი შეარჩია, მაშინ გერმანელები, ალბათ, 2012 ნაცვლად 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის სამასპინძლოდ იბრძოლებენ.

საქმე ისაა, რომ ერთ კონტინენტზე ზედიზედ ოლიმპიადების გამართვა ბევრს მიზანშეუწონლად მიაჩნია. ამიტომ ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველმა შანსების გასაზრდელად ესეც უნდა გაითვალისწინოს.

„ნოემბერში ჩვენ მივიღებთ ფუნდამენტურ გადაწყვეტილებას, თუ სად და რომელი წლისთვის წამოვიწყოთ ბრძოლა — ბერლინში, გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა ტროგერმა.

ოლიმპიადის მასპინძლობა კი გერმანიის ოთხ ქალაქს: ფრანკფურტს, ლაიფციგს, შტუტგარტსა და დიუსელდორფს სურს. თუმცა, გერმანიის კანცლერმა თქვა, რომ ის არც ერთ მეტოქეს არ ანიჭებს უპირატესობას და რომ იგი გერმანიას უჭერს მხარს.

„შევთანხმდით, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი ქალაქების ძლიერ და სუსტ მხარეებს შევისწავლით, 2002 წელს შევიგულებთ ერთ-ერთს, რომელიც ოლიმპიადის მასპინძლობისთვის გააგრძელებს ბრძოლას" — განმარტა ტროგერმა.

მართალია, გერმანიას ორჯერ ხვდა წილად ოლიმპიური თამაშების ჩატარების პატივი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მისი მასპინძლობით არასდროს დამტკბარა.

მოგეხსენებათ, 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე ადოლფ ჰიტლერს საკუთარი მიზნების განხორციელება სურდა. კერძოდ, მისი მიზანი იყო მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა არიული რასის უპირატესობა სხვა ერებთან შედარებით. თუმცა, ამაში მას ხელი შეუშალა ამერიკელმა შავკანიანმა მძლეოსანმა ჯესი ოუენსმა. მაშინ ოუენსის მიერ მოპოვებული ოთხი ოლიმპიური ოქროს მედლით განრისხებულმა ფიურერმა სტადიონიც კი დატოვა. მართალია, მაშინ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა.

მეორედ გერმანელებმა ოლიმპიურ თამაშებს 1972 წელს უმასპინძლეს. მიუნხენის ოლიმპიადაზე ისტორიული შედეგების გარდა მთელი მსოფლიო ტრაგედიის მხილველი შეიქნა. მაშინ პალესტინელ ტერორისტთა ისრაელის ნაკრებზე თავდასხმის შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა.

სხვათა შორის, ქართველ ოლიმპიელთათვის მიუნხენის ოლიმპიადა ყველაზე წარმატებული გამოდგა. მაშინ ჩვენმა თანამემამულეებმა საქართველოსთვის სარეკორდო — ექვსი „ოქრო" მოიპოვეს.

ასეა თუ ისე, გერმანელები მომავალს იმედით შეჰყურებენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ გერმანელებს 2000 წლის ოლიმპიადის ხილვა ბერლინში სურდათ, მაგრამ 1993 წლის არჩევნებში ეს პატივი სიდნეის ხვდა წილად.

**ზიზა ბურასაუშვილი**



სტეისი დრაგილას სარეკორდო ნახტომი

# დრაგილას საშინაო რეკორდი

**სრულიად** არაფრით გამორჩეული სამძლეოსნო შეჯიბრი, „აიდაჰოს გაზაფხული", უეცრად დიდი ამბის სარბიელი გახდა. ქალაქ პოკატელოს სამძლეოსნო დარბაზში ამერიკელმა სტეისი დრაგილამ ჭოკით ხტომის ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

პოკატელო პაწია ქალაქია, მისი სამძლეოსნო ტურნირი კი, როგორც აღვნიშნეთ, უპრეტენზიო. იქ ძირითადად კოლეჯების მოსწავლეები და სტუდენტები გამოდიან, მაგრამ დრაგილა იქვე ცხოვრობს და ალბათ გადაწყვიტა, მეც წავივარჯიშებ ცოტას, ფორმას შევინარჩუნებო. კარგი ვარჯიში გამოუვიდა — 4,70 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, ეს კი ქალთა მისსავე წინა რეკორდზე 7 სანტიმეტრით მეტი გახლავთ. ის რეკორდი დრაგილამ შარშან ივლისში, საკრამენტოში, ამერიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე დაამყარა.

საერთოდ, ქალთა ჭოკით ხტომა ბოლო ხანებში ერთი მსახიობის თეატრად იქცა. დრაგილას ბოლო რეკორდი ღია ცისქვეშაა დამყარებული, მაგრამ ჭერქვეშა რეკორდის ავტორიც იგია და გაუმჯობესებითაც მარტო თვითონ აუმჯობესებს.

# ამაყი კაცი მალე წავა

**მაიკლ ჯონსონის** კარიერის დასასრული მომავალ წლამდე აღარ გადაიდება, 33 წლის სპრინტერი წლეულსვე აპირებს, მას წერტილი დაუსვას. ჯონსონი ამიერიდან თავის საფირმო 200 და 400-მეტრიან დისტანციებზე აღარ ირბენს, მხოლოდ ესტაფეტებზე გამოჩნდება. რამდენიმე ადგილას 4X200 და 4X400-მეტრიან დისტანციებზე გამოვალო, განუცხადა თითქმის ლეგენდარულმა მორბენალმა „დალას მორნინგ ნიუსს", მერე კი, კეთილი ნების თამაშებზე ოფიციალურად დავიქნევთ ხელსო.

ჯონსონი მარტო იმიტომ როდია ლეგენდარული, რომ 9-ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი იყო და სამგზის ოლიმპიური. ის გახდა პირველი სპრინტერი, რომელმაც ერთ ოლიმპიადაზე (ატლანტაში) 200 და 400-მეტრიანი გარბენები მოიგო. საუბარი ზედმეტია იმაზე, რომ ორივე ამ დისციპლინის მსოფლიოს რეკორდების ავტორია: 200 მეტრი 1996 წელს 19,32 წამში გაირბინა, 1999-ში კი 400-ზე 43,18 წამი დახარჯა. და კიდევ: ჯონსონის სახელს მისი სარბენი სტილიც განადიდებს. ჩვეულებრივ, სპრინტერები თავებს ჩაღუნავენ და ბრმებივით გარბიან ხოლმე, ჯონსონი კი ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც თავაწეული, ბეჭებში გაშლილი მიიწევს ფინიშისკენ და არ აწუხებს ის, რომ ამით შესაძლოა ძვირფასი წამის მეასედები დაკარგოს.

შარშან ჯონსონმა სიდნეის ოლიმპიადის 400 მეტრი მოიგო და ეტყობა, თავისი სპორტული მისია ამოწურულად ჩათვალა. უკვე იმ დროიდან ისმოდა ხმები სპრინტერის წასვლის შესახებ, თუმცა ოფიციალურად ეს ამბავი მხოლოდ გასული კვირის ბოლოს გაცხადდა. მერე ჯონსონმა ის გააკეთა, რაც თქვა და შაბათს ფილადელფიაში, „პენ რაილის" საესტაფეტო ტურნირზე ირბინა. ტრიბუნებიდან შეჯიბრს 48 922 კაცი უჭვრეტდა, უფრო ამერიკელები და ბლომად იამაიკელები. ამ ორი ქვეყნის დაპირისპირება 4X400-მეტრიან ესტაფეტაზე ტურნირის ცენტრალური მოვლენა იყო, რადგან მეოთხე ნომრად იანკებს სწორედ ჯონსონი ჰყავდათ. ვარსკვლავმა თავი არ შეირცხვინა, თანაბარ სიტუაციაში გარდატეხა უშუალოდ შეიტანა და ამერიკამ მოიგო. იგივე განმეორდა ქალთა ანალოგიურ ესტაფეტაში, სადაც მონიკ ჰენაგანის, მიშელ კოლინზისა და ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონის შემდეგ ქაბულმა მარიონ ჯონსმა ირბინა. აქაც ამერიკელებმა იმარჯვეს და კუნძულელებს მარტო იუნიორთა გარბენის მოგება დარჩათ სანუგეშოდ.

მოკლედ, ჯონსონი მიდის.

**დავით გულუა**



მაიკლ ჯონსონის ასეთი ფოტოები მალე ისტორია გახდება

**NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)**

# კლემი წინ წავიდა და...

30 აპრილი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| პიტსბურგი | 2 |
| ბუფალო | 1 |

**პიტსბურგი 1:4 ბუფალო (0:0 1:1 0:3)**

1:0 სტივენსი 26(3), 1:1 კ. ბრაუნი 34(3), 1:2 ვული 50(1), 1:3 შატანი 54(3), 1:4 პატრიკი 60(1)

| დასავლეთი | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი | 1 |
| კოლორადო | 2 |

**ლოს ანჯელესი 3:4 კოლორადო (1:1 0:1 2:2)**

0:1 ბლეიკი 5(3), 1:1 რობიტაილი 17(3), 1:2 ფორსბერგი 31(4), 1:3 ჰეიდუკი 49(2), 2:3 გ. მიური 50(3), 2:4 კლემი 51(1), 3:4 პალფი 60(3)

პიტსბურგის მცველი დარიუს კასპარაიტისი სულაც არ ტყუოდა, როდესაც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, ჩვენი ტაქტიკა გასვლით მატჩებში უფრო ამართლებს, ამიტომ შინ გაცილებით გვიჭირსო. თურმე მართლაც ასე ყოფილა. ორი საგარეო მოგების შემდეგ ბევრს ამ სერიის ბედი გადაწყვეტილი ეგონა, მაგრამ ბუფალო რის ბუფალო იქნებოდა, დანებებულიყო, მით უფრო, რომ წინა შეხვედრაში მეტოქეს არაფერში ჩამორჩა. თუ მაშინ ყველაფერი იღბალმა და პიტსბურგელთა მეკარე იოჰან ჰედბერგის საუცხოო თამაშმა გადაწყვიტა, ამჯერად ასე აღარ მოხდა. მართალია, ანგარიში ახლაც „პინგვინებმა" გახსნეს, მაგრამ „ხმლები" ამან სულაც არ დააბნია — მეორე პერიოდში გაათანაბრეს, ხოლო მესამეში გადამწყვეტი დარტყმაც მიაყენეს მასპინძლებს. ჯერ მცველმა ჯეისონ ვულიმ დალაშქრა საშუალო დისტანციიდან ჰედბერგის კარი, შემდეგ კი მიროსლავ შატანი კარს უკნიდან გამოსრიალდა და დროულად დაარტყა. ბოლო შაიბა კი ცარიელ კარში ჯეიმს პატრიკმა გაიტანა, რომელმაც წინა მატჩში უნებლიედ შეუწყო ხელი თავისი გუნდის დამარცხებას.

„ვფიქრობ, ჰედბერგმა დღესაც დიდებულად ითამაშა და წაგება მისი ბრალი არ არის. დღეს მეტოქემ გვაჯობა" — აღიარა მატჩის შემდეგ პიტსბურგის ლიდერმა მარიო ლემიემ, რომელმაც დაშავებული იარომირ იაგრის გარეშე ჩატარებულ ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მიითვალა. ისე, ჰედბერგი იქნებ დამნაშავე არც იყოს, მაგრამ მეკარეს ალბათ სურდა, შინაც მოეწონებინა თავი ისეთივე გმირობებით, როგორიც სტუმრად ჩაიდინა. ის ხომ პიტსბურგში ყველაზე პატივსაცემი კაცი გახდა. მისდამი მადლიერების გამოსახატავად ქომაგებმა უამრავი სათამაშო ცხენირემი მიიტანეს ტრიბუნებზე — მათ ახალ კერპს სწორედ ეს მეტსახელი ჰქვია. თუმცა ის, რომ ჰედბერგსა და პიტსბურგს ამჯერად არაფერი გამოუვიდათ, მეოთხე შეხვედრას განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის.

ჯონ კლემი შემტევ მცველთა კატეგორიას არასდროს მიეკუთვნებოდა. გარდა ამისა, ბრწყინვალე პარტნიორების — რობ ბლეიკისა და რეი ბურკის ფონზე თითქოს იკარგებოდა, მაგრამ ორშაბათს ლოს ანჯელესთან თამაშის 51-ე წუთზე მხოლოდ წმინად დაცვითი ფუნქციების, მცველმა, ალბათ, პირველად სერიაში გარისკა, რაღაც ინტუიციით იგრძნო, რომ შექმნილ სიტუაციაში მისი დახმარება სულაც არ იქნებოდა ურიგო და გაუმართლა კიდეც. სწრაფ კონტრშეტევაში ფრთიდან მასპინძელთა ზონაში შეჭრილმა ალექს ტანგეიმ პარტნიორის მოძრაობა დროზე შეამჩნია და მას პასი გადასცა. კლემმაც შეიფერა, ჩინებულად გაუმკლავდა მეკარე ფელიქს პოტვინს. ასე გადაწყდა ამ თამაშის ბედი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წამით ადრე ერთობ გაურკვეველი შეიქმნა მას შემდეგ, რაც გლენ მიურეიმ რიცხვმრავლობა გამოიყენა. ასე რომ, კლიმის გოლი ძალიან დროული აღმოჩნდა და „მეფეთა" კიდევ ერთმა საპასუხო შაიბამ ველარაფერი შეცვალა.

რაც შეეხება თავად მატჩს, როგორც იქნა კოლორადოს რეალური ძალა და მისი საფირმო თამაშიც ვიხილეთ. ორი შინაური მატჩის შემდეგ ფავორიტმა იგრძნო, რომ ასეთი გარჯით შორს ვერ წავა და ამჯერად გაცილებით ყინიანი, მობილიზებული და შეკრული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ „ეველანში" მე-4 წუთზე დაწინაურდა, როდესაც რობ ბლეიკის უძლიერესმა დარტყმამ მისთვის ოდესღაც საშინაო „სტეპლზ სენტერი" დაადუმა. მართალია, ლოს ანჯელესმა შეძლო საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ სტუმრებმა ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვეს არადა, პირველი პერიოდის შუაგულში მათ ლიდერი ჯო საკიკი გამოაკლდათ. მას ბორტთან ბრძოლაში მხრის ძვლმა ტრავმამ შეახსენა თავი (ალბათ, მანამდე ამიტომაც არ გამოირჩეოდა აქტიურობით), მაგრამ გუნდის დანარჩენმა ლიდერებმა, პირველ ყოვლისა პეტერ ფორსბერგმა (გოლი და პასი), მილან ჰეიდუკმა (გოლი და 2 პასი) და სხვებმა, რომელთაც გაცილებით ხშირად მოუწიათ ყინულზე გასვლა, ამ ზედმეტ დატვირთვას თავი ჩინებულად გაართვეს. სწორედ ამ ორმა შექმნა კოლორადოს მეორე და მესამე გოლი, ხოლო მეკარე პატრიკ რუამ რამდენიმე შაიბის აღებით თავდაჯერება შეჰმატა თავისიანებს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ლოს ანჯელესი — კოლორადო. სტუმარი ჯონ კლემის (№24) შეტევაში ჩართვა გოლით დასრულდა

**მსოფლიოს ჩემპიონატი (ჰანოვერი, გერმანია)**

30 აპრილი

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ბელარუსი 2:5 შვეიცარია (1:3 1:2 0:0) | აშშ 0:2 ლატვია (0:0 0:1 0:1) |

| B ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| სლოვაკეთი 5:0 ავსტრია (0:0 2:0 3:0) | კანადა 3:1 იტალია (0:0 2:0 1:1) |

ფინეთი 8:0 იაპონია (2:0 3:0 3:0)


# იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ.

აბაზანა–ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად.

შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:

ტელ: 22-75-07. 69-52-58



REUTERS ლას ვეგასიდან




# ვუდსის ფონდისთვის

ხმაური იყო ლას ვეგასში, სადაც მეგოლფე ტაიგერ ვუდსმა დიდი ყვენობა გამართა თავისი საქველმოქმედო ფონდის მხარდასაჭერად. ფონდი ბავშვებს ეხმარება და „მენდელი ბეის" დარბაზშიც ბევრმა ცნობილმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ სურათზე მუსიკოს კიდ როკსა (მარცხნივ) და თავად ვუდსს შუაში ჩაუყენებიათ ეროტიკული ტერმინატორი პამელა ანდერსონი და ოხუნჯობენ.

# სოფლად, ბორისთან

უცოლოდ დარჩენილი ბორის ბეკერი ახლა კუნძულ მალიორკაზეა და გოლფის საქველმოქმედო ტურნირს თავკაცობს. სოფელ კამპ დე მარში ამ ტურნირის ამბავში ბევრი ვარსკვლავი ჩამოსულა. ქველმოქმედი ბორისი გოლფის ანაბანას ასწავლის კლაუდია შიფერს, რომელმაც ყვანჯის გაქნევა წესით კი უნდა იცოდეს. თუმცა, აქ სხვაა საინტერესო: დააკვირდით ბეკერის სახეს, გოლფის გარდა რამე ხომ არ არის კიდევ? კაცი მარტოა, ქალიც მორიგს დაშორდა...

REUTERS მალიორკიდან



REUTERS ნიუ იორკიდან



# ძლიერი დები

ნიუ იორკში, ესენსის ჯილდოებს იმათ გადასცემენ ხოლმე, ვინაც იერით სიძლიერეს, ქცევით სიმტკიცეს და სულით წესრიგს გამოხატავენ. ასეთები წლეულს ჩოგბურთელი დები, სერენა და ვინუს უილიამსები ყოფილან.

# სტუმარ-მასპინძლები



REUTERS ბარსელონიდან

გასულ უქმეებზე მონტმელოს წრეზე ესპანეთის დიდი პრიზი თამაშდებოდა. ფორმულის მოყვარეთა მრავალრიცხოვანი არმია ბარსელონას სტუმარი იყო. ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ერთდროულად სტუმარიც იყო და მასპინძელიც, ისევე, როგორც მის თანამოსაუბრე, ფორმულის დიდოლორაში ბერნი ეკლსტოუნი. აი, ჰოლივუდური წყვილი კი, ნაღდად სტუმრად ჩაითვლებოდა: მაიკლ დუგლასი და მისი ნორჩი ცოლი კეტრინ ზეტა ჯონსი არც ესპანეთის ტახტზე სხედან და არც ფორმულის სადავეები უპყრიათ.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარეჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge